# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 18 ოქტომბერი, 2011 წელი.

№194 (6825)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

## სააკაშვილის მოწინააღმდეგეს რუსეთთან დიალოგი სურს ②



## ③ ქვა ქაობში, ანუ ცოცხი საქართველოს გამოსაგველად

## „თუ ამ შოკურმა თერაპიამაც არ გაჭრა, შესაძლოა, კომიდან ვერასდროს გამოვიდეთ“ ⑤

## ობიექტურობა თუ ④ ადეკვატურობა?



## საჩხერლებს აიძულებენ, „ნებაყოფლობით“ თქვან უარი ② ივანიშვილის დახმარებაზე

### პატრიარქი 21-ე საუკუნის სოფლების მშენებლობის ინიციატივით გამოდის

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 21-ე საუკუნის სოფლების მშენებლობის ინიციატივით გამოდის.

როგორც პატრიარქმა გუშინ სოფელ დიღომში, წმ. ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიულ-საგანმანათლებლო კოლეჯში სტუმრობისას ბრძანა, საქართველოში სოფლები ცარიელდება, მოსახლეობა ქალაქებში გადადის საცხოვრებლად ან უცხოეთში მიემგზავრება და არის საფრთხე, რომ დაცარიელებული სოფლების ტერიტორიები დაიკარგოს.

უწმინდესმა ბრძანა, რომ არსებობს საერთაშორისო აზრი: ის ვინც ცხოვრობს მიწაზე, მიწაც მას ეკუთვნის. ამდენად, პატრიარქი მიიჩნევს, რომ საჭიროა საქართველოში აშენდეს 21-ე საუკუნის თანამედროვე სოფლები, ყველაფრით უზრუნველყოფილი და დასაქმების პირობებით. უწმინდესმა აღნიშნა, რომ ასეთი სოფლების შექმნაში საჭიროა არქიტექტორების მონაწილეობა.

თანამედროვე სოფლების შექმნის მაგალითად პატრიარქმა ისრაელის სოფლები დაასახელა.

### „ეროვნული ფორუმი“ ბიძინა ივანიშვილთან ითანამშრომლებს

ამის შესახებ „ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ ბიძინა ივანიშვილთან გუშინდელი შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, სამომავლო თანამშრომლობის ფორმებზე „ეროვნული ფორუმი“ განცხადებას მოგვიანებით გააკეთებს.

ამასთან, როგორც სანიკიძემ განაცხადა, ერთობლივი ბლოკის შექმნაზე საუბარი ჯერ არ ყოფილა.

სანიკიძის განცხადებით, „ეროვნული ფორუმი“ ივანიშვილთან შეთანხმდა იმაზეც, რომ პარტიის წევრი ნოდარ ჯავახიშვილი „ქართუ ჯგუფში“ დაიწყებს მუშაობას.

ბიძინა ივანიშვილთან გუშინდელ შეხვედრაში გუბაზ სანიკიძის გარდა, მონაწილეობდნენ კახა შარტავა, რეზო შავიშვილი, ნოდარ ჯავახიშვილი.

„ეროვნული ფორუმის“ წევრი ნოდარ ჯავახიშვილი „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტად ინიშნება. ამის შესახებ ნოდარ ჯავახიშვილმა ბიძინა ივანიშვილთან გუშინდელი შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

### მოთხოვნებს უმკაცრებენ

საარჩევნო სუბიექტებს ქრთამის აღების, გამოძალვის ან ქრთამის სანაცვლოდ დაპირებებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება. ამასთან დაკავშირებით „სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილება შედის.

კანონპროექტის მიხედვით, დასჯადი ხდება საარჩევნო სუბიექტის – ფიზიკური პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა.

ასევე, საარჩევნო სუბიექტი დაისჯება, თუ მან რაიმე მსგავსი შეთავაზება ან დაპირება მიიღო, რათა „განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისგან“; ან გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად ან განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა.

ამ ქმედებების გამო საარჩევნო სუბიექტს ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

თუ საარჩევნო სუბიექტმა დიდი ოდენობით – 10 ათას ლარამდე ოდენობის ქრთამი აიღო – შვიდიდან თერთმეტ წლამდე პატიმრობა დაემუქრება, ხოლო თუ ეს ქმედება მან არაერთგზის ჩაიდინა ან დიდი ოდენობით – 30 ათას ლარს ზემოთ ქრთამი აიღო, თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე დააპატიმრებენ.


ჩვენო ძვირფასო მაღალგემოვნებიანო მკითხველო, ვინც „საქართველოს რესპუბლიკას“ ენდობი

მიდი, ჯიხურში ყოველდღე ჩვენი გაზეთი იკითხე, თუ ჭურში ჯდომა არ გინდა, შეიძინე და იკითხე!..

ხოლო გამოწერა თვეში სულ 10 ლარი დაგიჯდება, სამაგიეროდ ყოველ დილით ცინცხალ ნომერს მიიღებ!..


## ოთარ ტატიშვილიდა გვაკლდა! ②



№ 194. სამშაბათი, 18 ოქტომბერი, 2011 წელი.

რას წერენ ჩვენზე

### ვითვალისწინებთ მკითხველთა დიდ ინტერესს და ვთავაზობთ მათ ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს „როიტერთან"



# სააკაშვილის მოწინააღმდეგეს რუსეთთან დიალოგი სურს

მილიარდერმა ბიძინა (ბორის) ივანიშვილმა, რომელმაც რუსეთში კაპიტალი დააგროვა და სურს 2012 წლის პარლამენტის არჩევნებში გამოიწვიოს საქართველოს პრეზიდენტის პარტია, პოლიტიკური დღის წესრიგის პრიორიტეტად მიიჩნია მოსკოვთან დიალოგის განახლება.

რუსეთი, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში დაამარცხა საქართველო, ამჟამად გადააწყდა თბილისის ურყევ უარს, შეუშვას იგი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, მიუხედავად დასავლელი მოკავშირეების თხოვნისა. კრემლი არაერთგზის მოუწოდებდა, გადააყენებინათ პროდასავლელი სააკაშვილი, რუსი ლიდერები კი დემონსტრაციულად ღებულობდნენ მოსკოვში ქართული ოპოზიციის მოღვაწეებს.

„ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ რუსეთთან ინტერესების თანხვედრას, თუ სწორ ნაბიჯებს გადავდგამთ", – უთხრა ივანიშვილმა „როიტერს". დღემდე 55 წლის მილიარდერი თავს არიდებდა საჯაროდ გამოჩენას. მან მოგვცა ინტერვიუ თავის თბილისის ბიზნეს-ცენტრში, რომელიც აგებულია ცნობილი იაპონელი არქიტექტორის შინ ტაკამაცუს მიერ და მისი მშენებლობა დაჯდა დაახლოებით 50 მილიონი დოლარი.

ივანიშვილმა, რომელმაც ჟურნალ „ფორბსის" მდიდარი ადამიანების მსოფლიო რეიტინგში 185-ე ადგილი დაიკავა 5,5 მილიარდი კაპიტალით, გასულ კვირას პირველად განაცხადა თავისი პოლიტიკური ამბიციების შესახებ და მოუწოდა სააკაშვილს გადადგეს.

იუსტიციის მინისტრმა უმალვე შეგვახსენა, რომ ასევე რუსეთის მოქალაქეობის მქონე ივანიშვილი ავტომატურად კარგავს საქართველოს მოქალაქეობას იმის გამო, რომ 2010 წლის მარტში მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა. ქართული კანონმდებლობის თანახმად, ეს უკრძალავს ივანიშვილს შექმნას ან დააფინანსოს პარტია და მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

**„ისინი შეეცადნენ, ამომშალონ პოლიტიკური პროცესებიდან, მაგრამ მე არ ვაპირებ გაჩერებას",** – თქვა ივანიშვილმა.

**„თუ ისინი შეეცდებიან ამიკრძალონ არჩევნებში მონაწილეობა, ეს არჩევნები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ლეგიტიმურად".**

ივანიშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღო 2004 წელს სააკაშვილის პირადი განკარგულებით რუსეთიდან მისი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

მორიგი პარლამენტის არჩევნები უნდა გაიმართოს მომდევნო შემოდგომას, თუმცა ოპოზიციამ ეჭვი შეიტანა, რომ ხელისუფლებას სურს, დანიშნოს კენჭისყრა ვადამდე, რათა შეაჩეროს ივანიშვილის მცდელობა. ამ უკანასკნელმა დაიწყო მოლაპარაკება პრეზიდენტის ოპონენტებთან.

**„ჯერ ნაადრევია იმაზე საუბარი, შევქმნით ჩვენ ბლოკს, თუ ეს იქნება ერთი პარტია... ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები ჯანსაღ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებთან",** – თქვა ივანიშვილმა.

სააკაშვილის კრიტიკოსების უმრავლესობას მან უწოდა „ფსევდოოპოზიცია", მაგრამ დაგვპირდა ხელისუფლების პარტიის გამანადგურებელ დამარცხებას:

**„ალბათობის მინიმუმ 90 პროცენტით შემიძლია გითხრათ, რომ პარლამენტში ჩვენ შევალთ აბსოლუტური უმრავლესობით".**

ივანიშვილმა თქვა, რომ გადაწყვიტა, ჩაერთოს პოლიტიკაში ერთი კვირის მერყეობისა და უძილო ღამეების შემდეგ.

**„მე ვმერყეობდი ბოლომდე... მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ჩემი პოზიციები დღითი დღე უფრო განმტკიცდება, მათი პოზიცია კი (ხელისუფლებისა) დასუსტდება",** – თქვა მეწარმემ, მან დაადასტურა განზრახვა, რომ გაყიდის რუსეთში თავის დარჩენილ აქტივებს, რათა ფული დააბანდოს ქართულ ეკონომიკაში.

**„ჩემი ქონების (რუსეთში) შეფასების პროცესი უკვე დაწყებულია... მესმის, რომ ვერ შევძლებ მათ გაყიდვას მაქსიმალურ ფასად, მაგრამ მზად ვარ ყველაფრის რეალიზაციისთვის",** – თქვა ივანიშვილმა. მის ოფისში ერთ-ერთი დარბაზის კედლებს ამკობენ დემიენ ჰერსტისა და როი ლიხტენშტაინის პორტრეტები, ეზოში კი აღმართულია ზაჰა ჰადიდის, ანიშ კაპურისა და ჰენრი მორის მიერ დამზადებული ქანდაკებები.

### გავაოცოთ ევროპა დემოკრატიით

ივანიშვილმა ჩამოთვალა პრობლემები, რომელთა გადაჭრასაც იგი აპირებს პარლამენტის სპიკერის ან პრემიერის რანგში. ეს არის საკონსტიტუციო რეფორმა საზოგადოებრივი დისკუსიის ბაზაზე საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ფორმის შესახებ, სასამართლო რეფორმა სასამართლოების დამოუკიდებლობის გარანტიის შექმნისთვის, კორუფციის აღმოფხვრა ზედა ფენებში და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების სხვა ზომები.

შედეგების მიღწევისთვის, ივანიშვილის მოსაზრებით, საჭირო იქნება ორი-სამი წელი, რის შემდეგაც მას შეუძლია დატოვოს პოლიტიკა.

**„მე იმედი მაქვს, გავაოცო ევროპა დემოკრატიის დონით, რასაც საქართველოში შევქმნი... ეს იქნება ისეთი ჭეშმარიტი დემოკრატია, რომ ევროპელებიც კი ისურვებენ, დააბანდონ ინვესტიციები საქართველოში",** – თქვა ივანიშვილმა.

იგი, როგორც სხვა ოპონენტებიც, ეჭვობენ, რომ სააკაშვილს სურს დარჩეს ხელისუფლების სათავეში კონსტიტუციით ლიმიტირებული ორი ვადის შემდეგ პრემიერ-მინისტრის რანგში. ამგვარი მეთოდი უკვე გამოცადა რუსეთში სააკაშვილის შეურიგებელმა კრიტიკოსმა, პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა, რომელიც გაისად, როგორც ელოდებიან, დაბრუნდება კრემლში მინიმუმ ექვსი წლით.

**„მე ვიცი, რომ მას (სააკაშვილს) სურს დარჩეს ხელისუფლებაში... ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ",** – თქვა ივანიშვილმა.

ერთი წლის წინათ კონსტიტუციაში მიღებულმა ცვლილებებმა გააფართოვეს პარლამენტის უმრავლესობის მიერ წამოყენებული პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებანი პრეზიდენტის უფლებამოსილებებთან შედარებით.

სააკაშვილი, რომლის უფლებამოსილებაც 2013 წელს იწურება, და მისი გარემოცვა კომენტარს არ უკეთებენ მის პრეზიდენტობისშემდგომ გეგმებს.

რუსეთთან ომმა შეაკავშირა საქართველოს ხელისუფლება და ოპოზიცია კრემლის დაგმობაში და ივანიშვილმაც ბრალი დასდო რუსეთს „გაუგონარ აგრესიაში". ამავე დროს საგარეო-პოლიტიკური დაპირისპირების სისხლიან შედეგში პასუხისმგებლობა მან დააკისრა თბილისის „მოუფიქრებელ და არადიპლომატიურ" პოლიტიკას გავლენიან ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობაში.

რუსეთმა გამოაცხადა ომი, როგორც რუსეთის მოქალაქეობის მქონეთა დაცვის საშუალება ამბოხებულ ქართულ რეგიონ სამხრეთ ოსეთში. საქართველო ამბობს, რომ ჩაერთო ომში თავისი ტერიტორიული მთლიანობისთვის. შედეგად მოსკოვმა აღიარა სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, თუმცა საერთაშორისო არენაზე კრემლი კონფუზს ელოდებოდა, ვინაიდან მის მაგალითს მიბაძეს მხოლოდ ნიკარაგუამ, ვენესუელამ და წყნარი ოკეანის კუნძულმა ნაურუმ. დასავლეთმა დაგმო რუსეთის მოქმედებანი, მაგრამ მიუთითა თბილისის პასუხისმგებლობაზეც.

ივანიშვილს მიაჩნია, რომ მას შეეძლო მოენახა კომპრომისი და შეექმნა საქართველოსთვის ისეთი როლი, რომელიც „ხელსაყრელი იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპისთვის და მისაღები რუსეთისთვის".

მან შეგვახსენა, რომ უახლოეს წლებში მსოფლიოს კვლავ მოუწევს, იქონიოს საქმე, უწინარეს ყოვლისა, პუტინთან და მას დაუკავშირა რუსეთში კორუფციასთან ბრძოლის რეფორმების მოლოდინი.

**„რუსეთის საზოგადოებას, რუს ხალხს მოსწონს ეს კაცი. ეს მათი საქმეა, მათი არჩევანი, თუმცა უფრო დემოკრატიული რუსეთი, ალბათ, იქნებოდა უფრო საინტერესო ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის",** – თქვა ივანიშვილმა.

**მარგარიტა ანთიძე,**
**„როიტერი"**

„ცხელ კვალზე"

# ოთარ ტატიშვილიდა გვაკლდა!

**„გაგიკვირდებათ და... ღამის შოუ ოთარ ტატიშვილთან ერთად იწყება!" –გვახარა წამყვანმა.**
**გაგიკვირდებათ და... 16 ოქტომბრის ღამის შოუ გულის ამრევი გამოვიდა.**
**ტელეხელისუფლებისგან დატერორებულ ხალხს ოთარ ტატიშვილიდა გვაკლდა!**

**გიორგი** თარგამაძემ, ლაშა ხარაზიშვილმა და თენგიზ გოგოტიშვილმა ხომ დაუნდობლად „გამოააშკარავეს" და „ბოლო მოუღეს" „რუსი ოლიგარქის" ბიძინა ივანიშვილის ზრახვებს, „შუა ქალაქიდან" გამოგდებულმა ოთარ ტატიშვილმა ახალი სეზონის კვირის ღამის შოუში, არც მეტი, არც ნაკლები, მასხრად აიგდო არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი, არამედ საქართველოს მოსახლეობის მინიმუმ 70 პროცენტი, რომელიც დღევანდელი ხელისუფლების ყალბი, ძალადობრივი, ანტიეროვნული, სატელევიზიო პიარზე დაფუძნებული, უზნეო-უსინდისო მმართველობისგან იტანჯება!

ძალიან მაგრად „იხუმრა" მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა და „დიდმა იუმორისტმა" ოთარ ტატიშვილმა: პირველად ჩვენს შოუში იხილავთ ყველასთვის უცნობ ბიძინა ივანიშვილთან ინტერვიუსო, თუმცაღა, მე დარწმუნებული ვარ, ასეთი პიროვნება საერთოდ არ არსებობსო... თუ არსებობს ალბათ ასეთი წვრილი ხმით ლაპარაკობსო და... მიშავიზიებში გაფაშფაშებული პედერასტების წაბაძვით, რაღაც წინადადებები პედერასტულად წაილუღლუღა. მერე ჭორვილელი მიხეილ მაჭავარიანი მოიწვია და ბიძინა ივანიშვილის ეპოქალურ განცხადებებზე აზრის გამოთქმა სთხოვა... პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, ერთ დროს მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდა „ვარსკვლავმა", ზურაბ ჟვანიას „გაზით გაგუდვის შემდეგ" ახალ პრეზიდენტს შიშით ჩახუტებულმა მიხეილ ვარდენიჩმა ცეცხლს ნავთი დაამატა და „ბრძანა": ასეთ განცხადებებს საერთოდ არ ვიცნობ, მაინც, ვისზე და რაზე მელაპარაკებიო!




აი, კაშკაშა ხუმრობა, უფრო მეტიც – მარადმწვანე პარლამენტარის მიშა ვარდენიჩის პოლიტიკური პამფლეტი, რომელიც ტელემაყურებელთა უმრავლესობამ ასე „მოთარგმნა" (გუშინ ასმა აღშფოთებულმა კაცმა მაინც დარეკა რედაქციაში): **მაშ, მტყუნის, მიშა! (მაჭავარიანოც და სააკაშვილოც!), რაც ეს განცხადებები არაერთხელ წაიკითხეთ და უკანალი აგიკანკალდათ!..**

ამის შემდეგ ტელემაყურებელი და მკითხველი ისე მამაპაპურად აგინებდა მიშასაც და ოთო ტატიშვილსაც, პირდაპირ გულს მოგეფინებოდა კაცს!

თითქოს იგრძნოო მედიცინის დოქტორმა და მასხარა ოთარ ტატიშვილმა მაყურებლის რეაქცია და ბოლო სიუჟეტში ღრიალი მორთო, – მიშველეთ, შარვალი გამეხაო!

გადაცემა ისე ნაუცბადევად ჩაიფუშა, რომ წინასწარ დაანონსებული სიუჟეტები (მათ შორის ბიძინა ივანიშვილთან „ინტერვიუც!") არ უჩვენებიათ. რა თქმა უნდა, ეს „კეთილშობილი" ტყუილი 16 ოქტომბრის ღამის შოუს მთავარი „მონაპოვარი" იყო, მაგრამ მის წამყვანს, ასაკით არცთუ ისე ნორჩ „მედიცინის დოქტორს", ფსიქოლოგიაში კარგად „ჩახედულ" ექიმს საკუთარი პაციენტებისგან მაინც არ მოუსმენია ხალხის აზრი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახზე ასე უტიფრად წართმეული ტელეკომპანია „იმედის" მოსყიდული ჟურნალისტების შესახებ?

**გაგვაგებინე, მაინც, რას გიხდიან ასეთს, ოთო დოქტორო, რომ ხალხს თავი შეაძულე? დავიჯერო, პატრონი არც შენ გყავს?..**

ტელემაყურებელთა სახელით
**ვამეხ ვახვახიშვილი**

წერილი რედაქციას

## საჩხერლებს აიძულებენ, „ნებაყოფლობით" თქვან უარი ივანიშვილის დახმარებაზე

ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვის გადაწყვეტილებამ ისე აურია თავგზა სააკაშვილს და მის „რაზმს", რომ აღარ იციან, რა მოიმოქმედონ. ჰოდა, აი, მათი ერთ-ერთი „გონივრული" გადაწყვეტილება: საჩხერლებს ეუბნებიან (რა თქმა უნდა, შეფარულად), რომ წერილობით, „ნებაყოფლობით" უარი თქვან ბატონ ბიძინა ივანიშვილისგან დახმარების მიღებაზე. ხომ „ჭკვიანური" მოქმედებაა?! როგორც იმერეთში იტყვიან, ვაი თქვენს პატრონს!

**იუზა ხვედელიძე,**
საჩხერე.

ბრიფინგი

## დაუშვა თუ არა ივანიშვილმა შეცდომა?!

**ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გადანაცვლება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ბოლო პერიოდში გავრცელდა მისი წერილი, სადაც თანამედროვე პოლიტიკური პროცესების შეფასებას აკეთებდა. შესაბამისად საზოგადოებამ ყოველივე ეს პოლიტიკურად შეაფასა.** ამასთან დაკავშირებით ირინა სარიშვილმა სტუდია „ობიექტივში" ბრიფინგი გამართა, სადაც მან ივანიშვილი არა პოლიტიკოსად, არამედ ქველმოქმედად მოიხსენია. მან ღიად მიმართა რესპუბლიკელებს და განაცხადა, რომ ივანიშვილმა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც რესპუბლიკელებს თანამშრომლობა შესთავაზა. ი. სარიშვილმა ეს შემდეგნაირად ახსნა:

„რესპუბლიკური პარტია ეს ის პარტიაა, რომელიც ადვილად იყიდება და არც მისი გაყიდვაა ძნელი. კითხვაზე, შეუერთდება თუ არა ირინა ივანიშვილის პარტიას, განაცხადა, რომ გამორიცხული არ იყო. რაც შეეხება იმას, თუ როგორი შანსები აქვს ბიძინას პოლიტიკაში, მისი აზრით, ეს ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. ზოგადად პოლიტიკაში ბიზნესმენები ილბლიანები არ არიანო, დაასკვნიან ექსპერტები და პოლიტოლოგები.

საინტერესოა, ირინა სარიშვილის ბრიფინგს რა გამოხმაურება მოყვება რესპუბლიკური პარტიიდან.

**ირინა ოზოლაშვილი**

აუჰ!!!

# ქვა ჭაობში,

## ანუ ცოცხი საქართველოს გამოსაგველად

ჭაობში ქვას რომ ჩააგდებ, დამყაყებული, მდორე წყალი „აფეთქების“ ეპიცენტრში ერთხანს კრიალდება ყოველგვარი სიბინძურისგან და სანამ ისევ პირს შეიკრავს, აშკარად გამოირჩევა საერთო ჭუჭყიანი ფონისგან. ბაყაყები უმალ თავს უშველიან ხოლმე, აქეთ-იქით გავარდებიან და გულგახეთქილები, წინწამოყრილი თვალებით აყურადებენ, როდის ჩაცხრება ტალღები, რომ ძველ ადგილს დაუბრუნდნენ.

სწორედ ასეთ ჭაობში ჩაგდებულ ქვად აღიქვა თავმობეზრებულმა საზოგადოებამ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის ჯერ „განცხადება“ და მერე „ღია წერილი“, კაცისა, რომელსაც რუსეთის უმდიდრესი ბიზნესმენების სიაში 25-ე ადგილი უჭირავს 5,5 მილიარდად შეფასებული ქონებით.

„განცხადებისა“ და „ღია წერილის“ ავტორს არ დაუმალავს, მისი ბიზნესის წარმატების მთავარი საიდუმლოება: ის, რომ შეუძლია სწრაფად შეაფასოს სიტუაცია, მიიღოს სწორი გადაწყვეტილება, სწორედ შეარჩიოს კადრები და კარგი მენეჯმენტის საშუალებით სწრაფად მიაღწიოს დასახულ მიზანს. გარდა ამისა, მიაჩნია, რომ ნებისმიერი საქმე სუფთა ხელებით, ადამიანებთან გულწრფელი და გახსნილი ურთიერთობის საფუძველზე უნდა კეთდებოდეს.

ერთი სიტყვით, ამ კაცს აქვს ის, რაც დეფიციტია დღევანდელ საქართველოში, არ გვყავს პოლიტიკოსები, რომლებსაც ეს თვისებები ექნებათ მომადლებული.

ივანიშვილის განცხადებამ პირველ რიგში ხელისუფლების ჭაობში დააფრთხო ბაყაყები, „ღია წერილმა“ კი ჩვენი უბადრუკი ოპოზიციის ამფიბიათა მთელი ლაშქარიცააყიყინა. ნიშანდობლივია: ჯერჯერობით, სახელმწიფო გუნდი, რომელსაც აწეული წნევა ჩაქუჩივით უბაგუნებს თავში, მაინც თავს იკავებს და მრავალსიტყვაობით არ ცდილობს მოგვრილი შიშის გადაფარვას, კომენტარებისგან თავს იკავებს.

იქნებ უფრო ზუსტი იყოს თქმა, რომ ნაცმოძრაობა თავისი ლიდერის გამოსვლას, მის შეფასებებს ელოდება! თუ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სრულად აცნობიერებს ვითარების სერიოზულობას, იმას, რომ ასპარეზზე გამოდის არა „საქართველოში არსებული 200-მდე პარტიიდან ერთ-ერთი შესაძლებელი“, არამედ მძლავრი ძალა, რომელსაც, თუ რამეს არ უხიმანებენ, წარმატებით ძალუძს საპირწონეობა გაუწიოს და სათანადოდ მომზადებამდე, ანუ, ასე ვთქვათ, მაშრიყიდან მაღრიბამდე სხვადასხვა დონისა და ხარისხის კონსულტაციებამდე, ვითარების სრულ გაანალიზებამდე, თავს იკავებს სეფე სიტყვისგან.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყების დღეს – 1941 წლის 22 ივლისს რადიოთი სახელმწიფოს მეორე კაცი ვიაჩესლავ მოლოტოვი გამოვიდა და ქვეყანას თავს დამტყდარი უბედურების ამბავი ამცნო. მაშინ ბევრი მოელოდა, რომ სტალინი გამოვიდოდა, მაგრამ სტალინმა ეს გააკეთა მოგვიანებით, 3 ივლისს, როცა ის მაინც გარკვევით გამოიკვეთა, რომ წითელი არმია თავქუდმოგლეჯილი მორბოდა. გამოვიდა და გადაჭრით თქვა – „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ მისმა გააზრებულმა, გაანალიზებულმა გამოსვლამ და იმედიანმა სიტყვებმა „ჩვენ გავიმარჯვებთ!“ მართლაც იმედი შთაბერა ხალხს.

არავინ ელის, რომ მიხეილ სააკაშვილი ასეთივე გონივრული გამოსვლით მოჰფენს სინათლეს, თუ რასთან გვაქვს საქმე ბიძინა ივანიშვილის სახით, მაგრამ...

სამაგიეროდ პრეზიდენტმა უკვე დაიწყო პარტიზანული ბრძოლა პოლიტიკურ ასპარეზზე ახალგამოსული ძალის წინააღმდეგ და ამით არაპირდაპირ, ირიბად მიგვანიშნა, რომ ის მისი უმთავრესი მტერია...

უკვე გამოსროლილია პატარ-პატარა სიბინძურეები (ივანიშვილის „რუსეთუმეობა“, საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა, მთელი საქართველოს „ყიდვის“ სურვილი...), რომელთა თანამიმდევრობა და სიხშირეც სწორედ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში დაგეგმილ-გაწერილს ჰგავს და ძნელი წარმოსადგენია უპრეზიდენტოდ ხდებოდეს.



პრეზიდენტმა კი ამასობაში კიდევ ერთხელ შეირბინა ქუთაისში, კიდევ ერთხელ მოისმინა ხმაშეწყობილი „მიშა, მიშა!“ კიდევ ერთხელ ჩაიხუტა მკერდში მომავალი დედაქალაქის ხანდაზმული მანდილოსნები, „უდარდელად“ ილაპარაკა ყველაფერზე, მაგრამ არა იმაზე, რაზეც დღეს გაფაციცებულია ყველა მოქალაქის თვალი და ყური.

რამდენ ხანს გაუძლებს მისი იმპულსური ბუნება ამ დუმილს, ძნელი სათქმელია!

სამაგიეროდ სააკაშვილზე უფრო დიდი სააკაშვილისტები ჩარიგდნენ წინა ხაზზე. ვინ – ფარულად, ვინ – ღიად.

ჯერჯერობით აკაკი მინაშვილმა გადაიჭრა ვენები. მან ბიძინა ივანიშვილის განცხადება არც პოლიტიკურ განცხადებად ჩათვალა და არც პოლიტიკურ მანიფესტად, ძალიან გაურკვეველი წარმოშობის დოკუმენტიაო, ეს რაღაც პირადი საუბრის მსგავსი, ან ფიქრების წარმოსახვა უფროაო. საქართველოში 200 პარტია არსებობს და ერთ-ერთი ბიძინა ივანიშვილის პარტიაც შეიძლება იყოსო.

ძვირფას აკაკის მინდა ვკითხო, თუ პოლიტიკური დოკუმენტი ისეთ ადამიანურ ენაზეა დაწერილი, რომ პირადი საუბრის მსგავსია, ფიქრების წარმოსახვას ჰგავს, მაშ მისულა მკითხველის გონებამდე და გულამდე! არ გვაქვებია ჩვენთვის აქამდე კარგად ნაცნობ პოლიტიკურ ოპუსებს, რომლებიც მკითხველს არც თავში რჩება და არც გულში, მით უფრო, როცა იცის, რომ მისი შიგთავსი ყინულზეა დაწერილი.

ხომ ასე გაუსორომგომორა ბიძინას ნაფიქრი და ნალოლიავები განცხადება, მერე უფრო არსებითად მისდგა. არანაირი იდეა, არავითარი მიდგომები და არავითარი პრინციპები იქ არ არისო(!), როგორც ჩანს(?) ამ ადამიანის სურვილია, იყიდოს საქართველო, ქართველი ხალხი და არ იცის, რომ საქართველო არ იყიდებაო!

ასე ასრულებს ლუდის კათხით სადღეგრძელოს აკაკი მინაშვილი და ერთობ ვირეშმაკულად მკითხველზე გადააქვს გაანალიზების უუნარობის პასუხისმგებლობა – ყველა ძალიან კარგად ხვდება(?), რა არის მართალი და რა – არა, მის გაურკვეველ ტექსტშიო. ამას ჰქვია „შეგიჭამე ცოცხი“, მეტს კი არაფერს. დიახ, ყველანი ვხვდებით სწორედ ოპონენტის აზრის უსუსურობას და დაუსაბუთებლობას(!).

კიდევ ერთ „ბრალსაც სდებს“ აკაკი მინაშვილი ბიძინა ივანიშვილს. ეს არის თურმე განცხადების ავტორის „რუსული პოზიცია“. როგორც ბატონი ბიძინა ამბობს „ღია წერილში“, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება და მის მიერ მართული საინფორმაციო საშუალებები ჯიუტად ცდილობენ მის რუსულ პოლიტიკაზე მიბმას და ლამის რუსეთის აგენტად გამოცხადებას, ვერავინ ასახელებს ამის დამადასტურებელ თუნდაც ერთ ფაქტს, რადგან ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. არადა, თურმე „რუსულ პოზიციას“ ემთხვევა მისი „გაურკვეველი პოზიცია, რომელზეც ძალიან ბევრი კითხვა არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს საქართველომ დაიწყო ომიო“.

„იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს საქართველომ დაიწყო ომი“, ნათლად წერია ტალიავინის გახმაურებულ დასკვნაში, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს მხარეს, არამედ თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას წარედგინა ცნობად და რაღაც არ მახსოვს, მაშინ შემოეხიოს ჩოხა აკაკი მინაშვილს და ძმათა მისთა.

რაც მთავარია, ივანიშვილის „რუსოფილობის“ ამ „უტყუარი მტკიცებულების“ იქით აკაკი მინაშვილი და სხვანი „ვერ ხედავენ“ მთავარ მტკიცებულებას, რაზეც, რა გინდა თვალი დაიბრმაოს ხელისუფლებამ, ბოლოს მაინც უნდა გასცეს პასუხი.

თურმე, 2008 წლის აგვისტომდე წელიწადნახევრით ადრე, ბოკერია დაჟინებით ითხოვდა ქართული ჯარების შეყვანას სამაჩაბლოში და იმედი ჰქონდა, რომ რუსი სამხედროები გაიწევდნენ და ქართულ ჯარს ცხინვალში უომრად შეუშვებდნენ. მაშინ კი შევძელი დროებით შემეჩერებინა ის საბედისწერო გადაწყვეტილება, ორმოც წუთში ბოკერიას დავუმტკიცე, რომ ის, რის გაკეთებასაც გეგმავდა, წმინდა წყლის პროვოკაცია და ავანტიურა იყო. ბოკერიამ მაშინ უკან დაიხია და დასახულ გეგმაზე უარი თქვა, მაგრამ მოგვიანებით მაინც იგივე სცენარით იმოქმედა ნაცმოძრაობამ და რა შედეგიც მივიღეთ 2008 წლის აგვისტოში, აშკარააო.

ივანიშვილის ამ „რუსოფილობაზე“ პასუხი უნდა გაეცეს. პირდაპირ ვიტყვი: მე მჯერა ივანიშვილის, რომ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ის ჰყვება, მაგრამ ჩემი დაჯერება-არ დაჯერება რა სათვალავში მისაღებია. ითქვა? დაამტკიცეთ, რომ ასე არ იყო! ოღონდ დაამტკიცეთ საბუთიანად და არა „ტყუის, ტყუისო“ ძახილით. გახადეთ ამ დამტკიცების პროცესი საჯარო.

ეს იმ მხრივაც აუცილებელია, რომ საზოგადოება შეშფოთებულია – ნუთუ ქვეყნის ომში გადაჩეხვა ასე ერთი კაცის ხუშტურებზეა? ან ვინ არის ეს ბოკერია, რომ ამდენის უფლება აქვს მიცემული – თვით პრეზიდენტია იძულებული შუამავლები (ივანიშვილი) მიუგზავნოს, რათა გაჯიუტებულ ბოკერიას ომი (არავითარი გარანტია არ არსებობდა, რომ ეს ავანტიურა სწორედ ომში არ გადაიზრდებოდა) გადაათქმევინოს.

ირკვევა, რომ სააკაშვილი სათამაშო თოჯინაა სხვათა ხელში, რომ ზოგი გაყვინიზებული ვაზირი ხელმწიფეზე მაღლა დგას და ქვეყანა უფსკრულში შეუძლია გადაჩეხოს.

ახლა ოპოზიციის შესახებ, რომლის ნაწილიც მეგობრებად შეარჩია ბიძინა ივანიშვილმა, ნაწილიც – მტრებად (ის, ვინც მეგობრად არ გამოცხადდა, უკვე სწორედ მტრად მოეკიდა).

იხ. 4 გვ.

ღია წერილი

# საქართველოს თეატრალური საზოგადოება – ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა,

ისტორიამ არაერთი ქველმოქმედისა და მეცენატის სახელი შემოგვინახა. ზოგნი მუსიკოსებსა და მეცნიერებს ინახავდნენ თავის კარზე, ზოგნი სახვითი ხელოვნების პირად კოლექციებს მუზეუმებად აქცევდნენ, ზოგნი ტაძრებსა და ეკლესიებს აგებდნენ და ზოგი საგვარეულო სარკოფაგების ჩუქურთმებზე მიმართავდნენ ნიჭიერთა პოტენციას.

არც თუ ხშირია ჟამთაღწერაში ისეთი ქველმოქმედების მაგალითი, რომლის მთავარი საფუძველია ეროვნული ხსნის იდეა, რათა ქვეყანა არ ასცდეს „სვლას ჩვეულებისამებრ მამულისა“. ეს უკვე ქველმოქმედება აღარ არის, ეს დიდი მოღვაწეობაა, მიმართული ერის ხსნისა და სამომავლო წინსვლისაკენ. თქვენ სწორედ ასეთი მოღვაწე ბრძანდებით.

შემომწირავი თავის სახელს უსათუოდ ამოკვეთავს ტაძრის კედელზე ქველმოქმედების უკვდავსაყოფად, ან ფოლიანტზე თავის ვინაობას დაადასტურებს ავტორთან ერთად, ან თავის სახელს დაარქმევს მუზეუმსა თუ წიგნსაცავს. ეს დასამადლებელი ანგარება სულაც არ გახლავთ. ეს ჩვეული წესია.

თქვენ ეს წესი უარყავით და ამით ზნეობის უმაღლესი მაგალითი გვიჩვენეთ.

ტაძარი ააშენეთ და არ დამასახელოთო, განაცხადეთ.

თეატრები დანგრევა-გაპარტახებას გადაარჩინეთ, და ჩემი სახელი არ ახსენოთო, ბრძანეთ...

გზები დააგეთ, და მათზე მავალი სხვას ლოცავს და ადიდებს...

სოფელი აღაშენეთ, და ასე უნდა იყოსო, დაარწმუნეთ იქ მაცხოვრებელნი...

მეცნიერებს, სპორტსმენებს, მწერლებს, ხელოვნების მსახურთ და სხვათა და სხვათა (მათ შორის დიდ წილად – თეატრის მუშაკებსაც) ყოფნის სახსარი მიეცით, და – „რადგან არა მხოლოდ პურითა ცხონდების კაცი,“ – საკუთარი ღირსების თვითშეგრძნება განუმტკიცეთ და მადლობის სათქმელად ადგილი არ დაუთქვით...

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენ საკუთარი თავი ერის სამსახურით განადიდეთ და არა ერი იმსახურეთ საკუთარი თავის განდიდებისთვის, მავანთა მსგავსად...

თქვენ ნამდვილად თქვენი ქვეყნის მოქალაქე ხართ... უპირველესი მოქალაქე.

ჭეშმარიტი მოქალაქეობა კი კლერკის ბეჭდით დადასტურებული მოწმობა როდი გახლავთ...

თქვენივე თხოვნით არ გეუბნებით „გმადლობთ“...

უბრალოთ, ჩვენი მხრიდან, თქვენს მოღვაწეობას ვაფიქსირებთ ჟამთაღწერაში...

„საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ...“

**საქართველოს**
**თეატრალური საზოგადოება.**

◎ თვალსაზრისი

*წერილის სათაური ამას წინათ მაესტროს ეთერში პატარა „გრეჩიხას" და უკვე მუშაობის პროცესში იმავე „სუბიექტურ აზრში" გოგა ხაინდრავას გამოსვლების პათოსმა განაპირობა. მისი არსი მოკლედ ის არის, რომ „კავკასია-მაესტროს" მიმართ ბიძინა ივანიშვილის ბრალდებებზე ამ უკანასკნელებმა თავის მართლება იმით სცადეს, რომ ისინი არ არიან ოპოზიციური არხები, მათ უბრალოდ ობიექტურობის ნიში უკავიათ. და რომ მათი თავისუფლების ყიდვა ადრეც ვერავინ შესძლო და ვერც ბიძინა ივანიშვილი შესძლებს. რომ სიტყვის გამოხატვის თავისუფლებას არაფერში გაცვლიან და ა.შ. სხვა მრავალი „დემოკრატიულ-ლიბერასტული" ლაილაის მთები დაახვავეს როგორც ერთ, ისე მეორე ტელევიზიაში.*

# ობიექტურობა თუ ადეკვატურობა?

რომელ ობიექტურობაზე, გნებავთ, ყბადაღებულ სარედაქციო დამოუკიდებლობაზე საუბრობენ? იმაზე ხომ არა, რაც „ნიუ-იორკ ტაიმსსა" თუ „ვაშინგტონ პოსტშიც" კი, ანუ ბუნებაში რეალურად არ არსებობს? ან იქნება გრეჩო-გოგასთან ერთად მეც ვცდები და სადღაც, „დავარცხნილ" ევროპაში ერთიც არის და მეორეც? მერე ჩვენ რა? აქ, საქართველოში, როცა მინიმუმ სამი პროპაგანდისტული მონსტრი („რუსთავი-2", „იმედი" და ე.წ. საზოგადოებრივი არხი) იცავს არსებულ რეჟიმს და შესაბამისად ებრძვის ამ რეჟიმის მოწინააღმდეგეებს, ჩვენ წამოვწვეთ მხართეძოზე და ობიექტურობით ვიყელყელაოთ?

ამიტომ სრულად ვეთანხმები პატარა გრეჩიხას, რომელიც, სხვათა შორის, „მაესტროს" 25 პროცენტის მეწილეა, რომ „მაესტრო" იქნება თუ „კავკასია", პირველ რიგში სიტუაციის ადეკვატური უნდა იყოს და შემდეგ ობიექტური, და ყველაფერი სხვა დანარჩენი დემოკრატიული ზიზილ-პიპილოები!

ეს აზრი განავითარა გოგა ხაინდრავამაც, ოღონდ გაცილებით მკვეთრად და იქამდეც კი, რომ სახალხოდ კუთვნილ „ადგილზე მოსვა" შალვა რამიშვილი, ეს ყოველგვარი იდეალებისგან დაცლილი კაცუნა, რომელსაც არც ღმერთი სწამს და არც სატანა, რომლის მრწამსია ყველაფრის გაბიაბრუება, ყველაფერზე ღლიცინი, ცინიზმი და რომელიც ერთადერთ „ღვთაებად" მამონას, მწვანე დოლარებს აღიარებს...

მაგრამ ახლა მთავარზე, ანუ იმაზე, რაც ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ქვემოთ მინდა მოგახსენოთ:

როგორც მოსალოდნელი იყო, ბიძინა ივანიშვილის მეორე, „ღია წერილსაც" ლამის ატომური ბომბის აფეთქების ეფექტი ჰქონდა...

ერთი სიტყვით, ბატონმა ბიძინამ დაარღვია სამწუხარო და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის დამანგრეველი შედეგების მომტანი ტრადიცია ქართული პოლიტიკისა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ პოლიტიკოსები აქამდე, როგორც წესი, საჯაროდ, მხოლოდ ზოგადი საუბრებით იფარგლებოდნენ. ყოველგვარი კონკრეტიკის და პერსონალიების დაუსახელებლად – „ისედაც ყველამ ვიცით, ან ვხვდებით, თუ ვისზე და რაზეა საუბარი"...

აი, მთავარი „არგუმენტი", საბაბი, პირდაპირ დასმულ კითხვებზე, პირდაპირი პასუხების თავის არიდებისა. რაც არაერთხელ გვინახავს და გვსმენია მავანი პოლიტიკოსებისგან. მიზეზი კი ასეთი „დიპლომატიისა" ზოგჯერ ელემენტარული სიმხდალე, უფრო ხშირად და, როგორც წესი, პოლიტიკოსებს შორის დადებული უსიტყვო, მერკანტილური შეთანხმებაა – შენც სუ და მეც სუ! და ამ „სიჩუმეში" ყველამ საკუთარ კეთილდღეობაზე იზრუნოს...

ეს არის თავი და თავი მიზეზი, ფსევდოოპოზიციური პარტიების თუ ათასი ჯურის და ტიპის „ექსპერტების" სიმრავლისა საქართველოში. და სრულიად ბუნებრივია მათი რეაქცია ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომელმაც პირველად საქართველოს უახლეს პოლიტიკურ ისტორიაში, გაბედა და ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა!

დღეს ბევრი ავლებს პარალელებს ბიძინასა და ბადრი პატარკაციშვილს შორის. უმთავრესად ანალოგიების ძიების გამო. მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ორ, უდავოდ დადებით, ქვეყნის პატრიოტ პიროვნებას შორის, ანალოგიებს მიღმა ერთი მთავარი განსხვავებაც არსებობს – ბადრი პატარკაციშვილი, დაუფიქრებლად, ოდენ საკუთარი, ამოუწურავი ფინანსური რესურსის იმედად გადაეშვა იმ სიბინძურეში, რასაც ზოგადად პოლიტიკა და განსაკუთრებულად ქართული პოლიტიკა ჰქვია.

ამიტომაც აღმოჩნდნენ მის გვერდით ის ნაძირალებიც, ვინც ტალეირანის თუ ფუშეს (ზუსტად არ მახსოვს) ცნობილი ფორმულით ცხოვრობენ და მოქმედებენ ნიადაგ – „დროულად უღალატო, ნიშნავს განჭვრიტო" და აკი დროზე განჭვრიტეს და უღალატეს კიდეც, რამაც განაპირობა კიდეც ბადრი პატარკაციშვილის ტრაგიკული აღსასრული!

ბიძინა ივანიშვილი ბადრის მსგავსად წინდაუხედავად არ გადაშვებულა პოლიტიკაში. მისმა განცხადებებმა ერთგვარი „თოჯლმწმენდის" ფუნქციაც შეასრულა, ანუ იმით, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა, საკუთარი მოქმედების არეალი მეტ-ნაკლებად გაწმინდა ნაგვისგან, რაც მისთვის მომავალში შესაძლო პარტნიორების მიერ „კვანტის დადების" ალბათობას მინიმუმამდე ამცირებს. მის მიერ მხილებული ფსევდოოპოზიციისგან ხომ ეს პრაქტიკულად გამორიცხულია. რადგანაც ასეთი ხალხისგან ბიძინას „ბოსტანში კენჭების სროლა" თითქმის გარანტირებულად გამოიწვევს საზოგადოების მხრიდან ასეთების „ქვებით ჩაქოლვას" – ისედაც მარგინალების, კიდევ უფრო გარიყვას პოლიტიკური პროცესების პერიფერიაზე.

პოლიტიკაში მოსვლის (დიახ, იგი კი არ მოდის, შეიძლება ითქვას, რომ უკვე მოვიდა და მეტი არაფერი რომც არ გააკეთოს, როგორც მინიმუმ, მის მიერ გავლებული სადემარკაციო ხაზი ველარ წაიშლება) პირველივე დღეებიდან ნათლად ჩანს, რომ, როგორც მინიმუმ, არ აპირებს ბადრის შეცდომების გამეორებას. მის მიერ გაკეთებული ბოლო განცხადება სწორედ იმას ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილი არა მხოლოდ მიშას დასამთავრებლად მოვიდა პოლიტიკაში, არამედ პირველ რიგში ფსევდოოპოზიციისა. რადგანაც, როგორც ჩემმა უმცროსმა კოლეგამ და მეგობარმა ჯაბა ხუბუამ დაწერა თავის დროზე (რისთვისაც კინაღამ შეჭამეს „ოპოზიციონერებმა") – სანამ მიშა გადადგება, მანამდე ეს „ოპოზიცია" უნდა გადადგეს, რადგან სანამ ამ „ოპოზიციას" არ გადავაყენებთ, მანამდე მიშას ვერ გადავაყენებთ! ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შინაარსით ეს იყო ნამდვილად.

ჰოდა, ეტყობა მოვიდა ეს დრო და ამიტომაც აყლურტულდნენ მრავალხმიანი კაკაფონიით მიშას „არლნის ჩიტუნები", რომლებსაც, ყველას ერთად და ცალ-ცალკე, ადეკვატური პასუხები მინდა გავცე:



## „ქდპ", ანუ ქრისტიან-დემოკრატიული პარტია...

**პოეტ რეზო ამაშუკელის ენამოსწრებული მიგნებით, ქუსლებზე შემხტარი გალსტუკიანი ხვლიკის – გიორგი თარგამაძის პარტია, რომელზეც ორი სიტყვით შეიძლება დაამთავრო „ბაზარი", რომ მათი ქრისტიანობისაც ნაკლებად სჯერა ვინმეს და მით უმეტეს – დემოკრატობისა. მაგრამ არ ასვენებს გამჩენი და კუდზე შემდგარი ასისინდა ეს იუდა ხვლიკი. ვითომ ბიძინას რომ არ ეთქვა, ისე არ ვიცით, რომ პატარკაციშვილის 30 ვერცხლად „ჩაგირავების" სანაცვლოდ მიიღო ორი დღის შექმნილმა „ოპოზიციურმა" პარტიამ პარლამენტში სხვა, ფსევდო თუ ზოგადად ოპოზიციიდან ყველაზე მეტი მანდატი. ისიც კარგად გვახსოვს, თუ რა „ხიშტებით" შეხვდნენ „ხვლიკები" პარლამენტის ბოიკოტის თემას.**

ჯერ იყო და რვიანში შეასრულა ტროას ცხენის როლი! სააკაშვილის რეჟიმის დემოკრატიულობის იმიჯის ანტურაჟად ხომ ადრეც ბრწყინავდნენ და ახლაც ბრჭყვიალებენ ამერიკა-ევროპაში, რის ჯილდოდაც, სხვა სიკეთეებთან ერთად, პერიოდულად ლებულობენ ნაცების მიერ ნაყიდ საერთაშორისო გამოკითხვებში სტაბილურ მეორე ადგილს ხელისუფლების რეიტინგის შემდეგ და პირველობას არავის უთმობენ ოპოზიციაში.

იხ. 6 გვ.

◎ აუჰ!!!

# ქვა ჭაობში,

## ანუ ცოცხი საქართველოს გამოსაგველად

(მესამე გვერდიდან) თვით ივანიშვილის ნებაა, ვინ სურს მეგობრად და ვინ – მტრად. ამიტომ ისინი, ვისთანაც თანამშრომლობა არ სურს („ქრისტიან-დემოკრატები", „ლეიბორისტები", „ახალი მემარჯვენეები", „ედპ", „ქართული პარტია", თორთლაძის, დავითაიას პარტიები), გულმდუღრად იცრემლებიან, მაგრამ მხოლოდ ტირილს რა უჭირდა, უშვერად ლანძღავენ კაცს, რომელიც აცხადებს, მეგობრებად არ მინდიხართ, არ გენდობითო.

გიორგი თარგამაძე, მაგალითად ბიძინა ივანიშვილს წალმა ამუნათებს, პოლიტიკაში რიგითი ბინძური ხერხებით მოთამაშე პოლიტიკოსის მეთოდებით მოდიხარო და სათქმელს ისე ხვლანჯავს, რომ მკითხველი შეაეჭვოს, ბადრი პატარკაციშვილი ბიძინას გაფუჭებულია, მის წინააღმდეგ საბრძოლველად, ტელეიმედის ჩასაძირად და ბადრის გასანადგურებლად წლების განმავლობაში აგულიანებდა პირადად მიხეილ სააკაშვილსო.

ამას ისე „ოსტატურად" იქმს, რომ კრინტსაც არ ძრავს მის მიმართ ნათქვამზე, გიორგი თარგამაძის პოლიტიკური საქმიანობა უამრავ საეჭვო მომენტს შეიცავს, დაწყებული ასლან აბაშიძესთან თანამშრომლობით, გაგრძელებული ბადრი პატარკაციშვილის მიმართ ჩადენილი ღალატით და დამთავრებული იმით, რომ ღალატის საფასურად ხელისუფლებამ თარგამაძეს პარტია შეუქმნა, დაუფინანსა და გაყალბების გზით პარლამენტში შეიყვანა. როგორც ვნახეთ, გიორგი თარგამაძემ პატარკაციშვილის მიმართ ღალატის შეხსენებისას, წალმა ღალატი „დაუხვედრა", სხვა უფრო დასაჯერებელი ვერაფერი მოიფიქრა, ამიტომაც გამოეკიდა ჰაერში მისი „ბრალდებები".

ახალი მემარჯვენეებიც მცდარ და უკადრის გზას დაადგნენ. მაგალითად, მამუკა კაციტაძე ივანიშვილის ღია წერილს თურმე პოლიტიკურ განაცხადად ვერ აღიქვამს, უფრო ჭორაობას ამგვანებს და თანაც ვარაუდობს, რომ ამ ჭორაობაზე გავლენა ზემო იმერეთის სოფელმა ჭორვილამ (ივანიშვილის მშობლიური სოფელი) მოახდინა. ეს მინიშნება მე პირადად ვერ გავიგე, ჭორვილა მოტანილია როგორც ჩამორჩენილობის, სიბნელ-სიყრუის სიმბოლო თუ რა? ეს დაახლოებით ისე ჟღერს, შე ქაჯოო, სორბონა-კემბრიჯში ყრმობაგატარებულმა „სვეტმა" რომ შეუძახოს შუა ქუჩაში მობორიალე უბირს.

ერთი სიტყვით, ბატონი მამუკა ხუმრობს და თავის მოსწრებულ სიტყვაზე თვითონვე კვდება სიცილით. სწორია ბიძინა, ასეთი ოხუნჯები თანამშრომლებად რომ არ სურს.

არის ასეთი ანეკდოტი: ორი კაცი დავობს. ერთი ელამია, ოღონდ ენა კარგად უჭრის და მოწინააღმდეგეს პაექრობაში უგებს.

– ე, შეხედეთ, შაშუბეშაა! – შესძახა ბოლოს „უმძიმესი" არგუმენტით ძალამოცემულმა მოპაექრემ და ჩათვალა, რომ კამათი „მოიგო".

„პადოშამ" (გია თორთლაძემ) თავისი ჭკუით წელს ქვევით დაარტყა ივანიშვილს: მას, როგორც ჩანს, აქცენტი სულ ყიდვა-გაყიდვაზე აქვს აღებული. მე კომერსანტი არა ვარ, პოლიტიკოსი ვარ, ის კი პოლიტიკოსი არ არის და ამდენად ერთმანეთთან არანაირი შეხება არა გვაქვს, ერთმანეთთან ვერ ვითანამშრომლებთო.

აქ პატივცემულ პადოშას ეშლება, როცა ამბობს, ის პოლიტიკოსი არ არის, მე ვარ პოლიტიკოსიო. სასაცილო ვითარებაა, ვინ ვინ და ჩვენ ხომ ვიცით, რა პოლიტიკოსიც არის ეს კაცი. პირიქით უნდა ეთქვა, არც მე ვარ პოლიტიკოსიო. მართალია, მდგომარეობა უფრო დაუმძიმდებოდა, მაგრამ სიმართლის თქმა სულს გაუფაქიზებდა.

მაგრამ ასეთი რამ პადოშას ბუნებაში არ ჯდება, ამიტომ გააგრძელა და ორი სწორედ სფინქსის საკადრისი შეკითხვა ჩამოუყალიბა, რომელსაც თურმე ივანიშვილი ვერავითარ შემთხვევაში პასუხს ვერ გასცემს: არის თუ არა საქართველო ოკუპირებული? და უნდა გაწევრდეს თუ არა საქართველო ნატოში?

ახლა ყველაფერი იმაზეა გათვლილი, ბიძინა ივანიშვილმა პადოშას ორივე შეკითხვაზე უარყოფითად უპასუხოს: საქართველო ოკუპირებული არ არის და საქართველო ნატოში არ უნდა შევიდესო, თორემ პადოშა შეხტება და შებზრიალდება, ხომ ვამბობდი, პოლიტიკოსი კი არა, ბიზნესმენიაო.

საერთოდ კი, ამ დღეებმა (ბიძინა ივანიშვილის განცხადებიდან და ღია წერილიდან გასულ დღეებს ვგულისხმობ) ნათლად წარმოაჩინა, რომ ხელისუფლება ძალზე შეაშფოთა პოლიტიკურ ასპარეზზე იმ კაცის გამოსვლამ, რომელმაც მოსვლის მიზეზი „ჭკვიანურ" თეზისებად კი არ ჩამოაწიკწიკა ერთ კომპიუტერულ გვერდად, არამედ მოკლედ და ნათლად თქვა: მოვედი იმიტომ, რომ ვხედავ, სამშობლო მეკარგება, ხოლო როდესაც სამშობლო გვეკარგება, არაფერს არ აქვს ფასი, არც ქონებას, არც ფულს, არც პრივილეგირებულ მდგომარეობასო.

ამ სიტყვებში ძალიან ნათლად, ხელშესახებად ჩანს ბიძინა ივანიშვილი – ყოველმხრივ უზრუნველყოფილი კაცი, რომელმაც ყველაფერი სასწორზე შეაგდო, აჯობა საკუთარ თავს, დასძლია საკუთარ თავში ში-

ში, ეჭვი, სკეპტიციზმი და მივიდა დასკვნამდე, რომ საჭირო და აუცილებელია პირველყოვლისა შეიცვალოს პოლიტიკური გარემო ქვეყანაში, შეიცვალოს ზოგადად პოლიტიკოსის და პოლიტიკის არსის და დანიშნულების გაგება ხალხის ცნობიერებაში.

მისი ასე ჟიქურ მოსვლა სწორედ ის იყო – დამყაყებულ ჭაობში ქვის გადასროლა. ცალკე ხელისუფლების და ცალკე ოპოზიციის, ანუ ოპოზიციის იმ ნაწილის აზვირთება, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ფსევდოოპოზიციას და ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის ყველაზე დამაბრკოლებელ, ხელისშემშლელ ძალას უწოდებს. ის გადამწყვეტ მომენტში ხელისუფლების ყველაზე საიმედო მოკავშირე და პარტნიორი ხდება ხოლმე.

ივანიშვილი ხელისუფლებისთვის საშიშია, აკი ქვეყნის გასაგონად აცხადებს, რომ სააკაშვილის მიღწევების შესახებ ყოველდღიური ტრაბახი და ტყუილების კორიანტელი უაღრესად შეურაცხმყოფელია, რომ სააკაშვილს ვერ გაუცნობიერებია მთავარი: ამ მეთოდებით, ძალადობითა და სიცრუით, რითაც ის ქვეყანას მართავს, რაც უფრო დიდხანს დარჩება სახელმწიფო სათავეში, მით უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს ქვეყანას, რომ თავისი პოლიტიკური პარტიისა და არსებული ჯანსაღი პოლიტიკური ძალების გაერთიანებით აბსოლუტური უმრავლესობით მოიგებს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს; იმედი აქვს, რომ პერსპექტიულს გახდის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე სახელმწიფო იურისდიქციის დაბრუნებას და დაიწყებს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას. ერთი სიტყვით, საქართველოს გამოგვა განუზრახავს. ოღონდ ლოზუნგებით კი არა, ცოცხი ილებს ხელში.

საკმარისი არ არის საზოგადოებრივი აზრის მისამხრობად?

**ალეკო ასლანიშვილი**

# „თუ ამ შოკურმა თერაპიამაც არ გაჭრა, შესაძლოა, კომიდან ვერასდროს გამოვიდეთ“



**ექსპერტი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილმა რადიკალიზმით გამსჭვალული წერილი შეგნებულად დაწერა, რადგან კომაში მყოფი ქართული საზოგადოების მდგომარეობიდან გამოყვანა უშოკოდ შეუძლებელია. Presage.tv ესაუბრება გია ხუხაშვილს.**

**– ბიძინა ივანიშვილმა კარგად დაიწყო, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამაღლებიდან დაცემამდე ერთი ნაბიჯია, რა შეცდომა არ უნდა დაუშვას ივანიშვილმა? მით უფრო, რომ არსებობს პატარკაციშვილის მაგალითი?**

– მათი შედარებისგან მაინც თავს შევიკავებ, რადგან ეს ორი სხვადასხვა ფენომენია. ფაქტობრივად, ბადრი წლების განმავლობაში ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკაში გახლდათ ჩართული, ბიძინა ივანიშვილის შემოსვლა კი იყო სწრაფი, მე ვიტყოდი, ელვისებური. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ორივე ბიზნესმენები იყვნენ, ამ ქვეყნის პატრიოტიზმის გარდა, სხვა ბევრი საერთო არაფერი აქვთ.

რა შეცდომები არ უნდა დაუშვას? პირველ რიგში, ალბათ უნდა შეეცადოს, რომ ამ გზაზე რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა დაუშვას და იმ პროპაგანდას, რომელიც ხელისუფლების მხრიდან უკვე მოდის, და, რომელიც უფრო გაძლიერდება, სწორი პასუხები გასცეს. ვგულისხმობ მოსაზრებას მისი „პრორუსობის“ შესახებ, ასევე, კლასიკურ შეკითხვას, – რას ფიქრობ ნატოზე? იტყვი თუ არა სიტყვა „ოკუპაციას“ და ა.შ. არ ვიცი, კიდევ ბევრი რჩევის მიცემა შეიძლებოდა. უფრო სწორად, ივანიშვილი ჰგავს იმ ადამიანს, რომელსაც შეუძლია, სხვის შეცდომებზე ისწავლოს, არათუ თავის შეცდომებზე.

**– ხელისუფლება ცდილობს, იგი პატარკაციშვილთან გააიგივოს. სახელებით გათამაშებაც აშკარაა: არკადი – ბადრი, ბიძინა – ბორისი...**

– გასაგებია, ეს წინასწარ ვიცოდით ყველამ, რადგან ეს არის უნივერსალური მეთოდი, რომელსაც ხელისუფლება, პრინციპში, ყველას მიმართ იყენებს. აქ მუშაობს ძალიან მარტივი ფორმულა - ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი მტერია. მტერი კი ერთადერთია – რუსეთი. შესაბამისად, ვინც ჩემთან არ არის, ყველა რუსეთის აგენტია. ასეთი შეხედულება არა მხოლოდ ივანიშვილის მისამართით გამოთქმულა, არამედ ისეთი ადამიანების მიმართაც, რომლებიც აშკარად გამოკვეთილი, პროდასავლური ორიენტაციის არიან. როდესაც ხელისუფლებას გაუჭირდება, ასეთი ადამიანების მიმართაც კი პრორუსულობის ბრალდება ისმის.

ასეთი რამ ირაკლი ალასანიაზეც გვსმენია, რაც ყველას კარგად გვესმის, სრული აბსურდია. არადა, მასთან რაიმე პრეტენზია თუ შეიძლება გქონდეს, მისი ზედმეტად პროამერიკულობაა. ამ ფონზე პრორუსულობაზე საუბარი, რა თქმა უნდა, არასერიოზულია. თუმცა ეს არის უნივერსალური მეთოდი, რომელსაც ყოველთვის იყენებს ხელისუფლება. სახელებს რაც შეეხება, სხვათა შორის,ეროსი კიწმარიშვილისადმი ჩემი დამოკიდებულებისა და კატეგორიულად მიუღებლობის მიუხედავად, მასზეც ამბობდნენ – „ერასტი.“

**– ბიძინა ივანიშვილის მიერ დაწერილ წერილში ვანო მერაბიშვილისადმი მისი დამოკიდებულებაც გამჟღავნდა. ეს პოლიტიკური რევერანსია მერაბიშვილის მიმართ?**

– მოდით, ასე ვთქვათ, იმ წერილში კონკრეტულად ვინც ჰყავს ნახსენები, ყველას მიმართ მისი მიდგომა ასეთია – ერთი მხრივ, ის ლაპარაკობს ადამიანების დადებით თვისებებზე და შემდგომ, საუბრობს უარყოფითზე. ეს მხოლოდ მერაბიშვილს არ ეხება. იმ ჩამონათვალში ბევრი სხვა ადამიანიც მოხვდა. ეს გახლავთ თავად ამ წერილის სტილისტიკა. ასე რომ, აქ განსაკუთრებული ის არის, რომ მერაბიშვილი ხელისუფლებიდან ერთადერთია, ვინც მის მიერ არის ნახსენები. თუმცა იქვე სხვებიც მოიხსენია. შესაძლოა, ეს თემა ძალიან საკამათოა.

**– ხომ არ დაკარგა ქულები იმ ადამიანებში, რომლებიც მერაბიშვილის მიმართ უარყოფითად იყვნენ განწყობილი?**

– არა მგონია, მერაბიშვილისთვის მაინცდამაინც სასიამოვნო ყოფილიყო ამ წერილის წაკითხვა, ან რაიმე პოზიტივი იკითხებოდეს მის მიმართ. მართალია, აღნიშნავს მის დადებით თვისებებსაც, მაგრამ იქვე, მისთვის საკმაოდ შემაშფოთებელ რაღაცებსაც ამატებს. ასე რომ, ამ მონაკვეთს მაინცდამაინც მერაბიშვილის სასარგებლოდ ვერ განვიხილავ.

**– ცოტა გულუბრყვილოდ არ გეჩვენებათ, როცა ივანიშვილი მიმართავს მერაბიშვილს, სააკაშვილს გადადგომა ურჩიოს?**

– დიახ, ეს პოლიტიკური ტაქტიკის საკითხია. მე ვფიქრობ, იგი თვითონ აკეთებს გათვლას. პოლიტიკური ტაქტიკის თვალსაზრისით, მან ჩათვალა, რომ ასეთი გზავნილი გარკვეული შედეგის მომტანი იქნება. სიღრმეებში ჩახედული არ გახლავართ, რა დგას ყველაფერ ამის უკან არ ვიცი, თორემ უფრო კომპეტენტურად გეტყოდით, ეს სწორი ნაბიჯი იყო თუ არა. უბრალოდ, ასეთი მიმართვის კონტექსტი იცის მხოლოდ ივანიშვილმა და ალბათ, – მერაბიშვილმა.

**– ბიძინა ივანიშვილის მიერ დაწერილი მიმართვა რადიკალურ შეფასებებსა და მკვეთრ პოზიციაზე იყო აგებული. ეს შეგნებულად გააკეთა?**

– ვფიქრობ, ასე სპეციალურად მოხდა. შევეცდები, ჩემი მოსაზრება გითხრათ ამ ყველაფერზე. რა თქმა უნდა, ის წერილები, რომელიც ივანიშვილმა გამოაქვეყნა, სტანდარტულ პოლიტიკურ ტექნოლოგიაში ვერ ჯდება, რადგან პოლიტიკოსები და სხვათა შორის, არა მხოლოდ პოლიტიკოსები, ჩვენც, საზოგადოების წევრებიც, ძალიან იშვიათად ვსაუბრობთ ასეთი მძაფრი ფორმით, ვცდილობთ, ყველაფერს ტექნოლოგიების თვალსაზრისით ვუყუროთ, რომ ვინმე არ გავანაწყენოთ, ცალკეული პირების მისამართით რაიმე საწყენი არ ვთქვათ. ვფიქრობთ, რად გვინდა მტრები და სხვა. ივანიშვილის მთავარი გზავნილი ქართული საზოგადოების მიმართ, მე ვიტყოდი, მისი მთავარი ფასეულობა კი ის არის, რომ ერთგვარ კომაში მყოფი ქართული საზოგადოების მდგომარეობიდან გამოყვანა დღეს უშოკოდ შეუძლებელია. შესაბამისად, ივანიშვილი გვეუბნება, რომ არ უყურებს ამ პროცესს პოლიტიკური ტექნოლოგიის თვალსაზრისით, არამედ ამ პროცესს უყურებს, როგორც საქართველოს მოქალაქე. გვეყოფა სიცრუე, სიცრუეში ცხოვრება, მხოლოდ სიმართლით უნდა გავიაროთ შემდგომი გზა.



რამდენადაც მწარე უნდა იყოს ეს ყველაფერი, ასეთია მისი პოზიცია. ასე რომ, ივანიშვილი ამბობს, მე არ მეშინია დღეს მტრების გაჩენის და მზად ვარ, ყველას პირდაპირ ვუთხრა ის, რასაც ვფიქრობ. მოგეხსენებათ, როდესაც ადამიანი კომაშია და ხედავთ, რომ სხვა მეთოდები არ მოქმედებს, ამ დროს ხშირად იყენებენ ე.წ. ელექტროშოკს. ივანიშვილიც ამ როლს ასრულებს ახლა, ცდილობს, გაალვიძოს საქართველო, მიძინებული, დათრგუნული, დაშინებული ქართული საზოგადოება. ვფიქრობ, საერთოდ, ახალი რაღაც ხდება ჩვენს ცხოვრებაში. თუ ამ შოკურმა თერაპიამაც არ გაჭრა საზოგადოებაზე, გამოდის, ძალიან დიდი რისკია იმისთვის, რომ კომიდან ვერასდროს ვეღარ გამოვალთ.

**– ივანიშვილმა თავის მიმართვაში თქვენი და ჩემი კოლეგებიც მოიხსენია და ექსპერტები და ჟურნალისტები ორმაგ სტანდარტებში ამხილა...**

– უწინარესად, პოზიტივია მისი მართალი ტონი. საერთოდ, ჩვენთან მიღებულია, რომ ჟურნალისტები, ექსპერტები რაღაც ხელშეუხებელი კასტაა და დამოკიდებულება არ უნდა გამოვხატოთ მათ მიმართ. თითქოს ისინი გარკვეული იმუნიტეტით სარგებლობენ. ამ აზრს არ ვიზიარებ. სხვათა შორის, ძალიან ბევრ ჟურნალისტად წოდებულ ადამიანს, გარკვეულ მიზეზთა გამო, მედიასპეცნაზს ვეძახი. ისინი არ არიან ჟურნალისტები. ზოგიერთი ჟურნალისტი, რომელიც დღეს ბიძინა ივანიშვილის ჭიშკართან დგას, იმ ფუნქციას კი არ ასრულებს, რაღაც ახალი გაიგონოს, არამედ მათი ფუნქცია ძალიან მარტივია – აღნუსხოს, ვინ შედის და ვინ გამოდის და ინფორმაცია თავის ხელმძღვანელობას მიაწოდოს. ფაქტობრივად, დღეს ბიძინა ივანიშვილის თვალთვალი საჭირო აღარ არის, რადგან ამ ფუნქციას ძალიან კარგად ასრულებს ზოგიერთი ჟურნალისტი. ამიტომ, ასეთ ჟურნალისტებზე რაღაც რომ თქვა, არა მგონია, ცუდი ტონი იყოს, რადგან, თავისთავად, ის თავის პროფესიულ ღირსებას ღალატობს. დიდი ბოდიშით, მაგრამ იმისთვის, რომ ჟურნალისტის ნიშანი უკეთია მკერდზე, ეს მას ნამდვილად არ ხდის ჟურნალისტად. თეთრი ხალათი არ ნიშნავს, რომ ექიმი ხარ.

**– ჩემი კოლეგების დასაცავად მაინც შეგეკამათებით. ცნობილი ადამიანები როდესაც პოპულარობის ზენიტს მიაღწევენ, უცხოეთშიც მათი სახლების წინ ათენებენ ჟურნალისტები და დილიდან საღამომდე დგანან მათ საცხოვრისთან.**

– დიახ, მაგრამ ივანიშვილთან მიმართებით, სამწუხაროდ, ეს ის შემთხვევა არ არის.

**– რაც შეეხება ექსპერტებთან მის დამოკიდებულებას?**

– რა არის, იცით? ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთმა საიტმა ექსპერტებს შორის ნდობის რეიტინგთან დაკავშირებით გამოკითხვა ჩაატარა. იქ მოხვდნენ ექსპერტები, რომელთა ნდობაც საზოგადოებაში ერთ და ორ პროცენტს არ აღემატებოდა. ეს მაშინ, როცა ეს ადამიანები დღედაღამ გამოდიან ცენტრალურ არხებზე. ადამიანები, რომელთა მიმართაც საზოგადოების ნდობა, პრაქტიკულად, ნულოვანია, და ამ დროს მხოლოდ ისინი არიან ეკრანებზე. ფაქტობრივად, ისინი იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული მანქანის ნაწილნი არიან, რომლებიც კი არ ანათლებენ საზოგადოებას და პოზიტივი კი არ შეაქვთ, არამედ მათ წამლავენ. დიდი ბოდიშით, შეიძლება მე ვილაცასთან მიმართებით ივანიშვილს დავეთანხმო ან არ დავეთანხმო, მე პერსონალიებზე არ მინდა საუბარი, უბრალოდ, ვამბობ, რომ ზოგადი განწყობა ამ მიმართულებითაც პატივსაცემია. მედიასთან დაკავშირებითაც შესაძლოა, ვილაცის შეფასებას დავეთანხმო, მაგრამ ზოგადად, თემა რომ არსებობს, რომ არსებობენ ჟურნალისტები, რომლებიც სინამდვილეში არ არიან ჟურნალისტები, არსებობენ ექსპერტები, რომლებიც არ არიან ექსპერტები და უბრალოდ, იდეოლოგიური მანქანის ნაწილი არიან, ამაში არ შეიძლება არ დაეთანხმო.

**– ლევან ჩოლოყაშვილმა აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილი თურმე ქველმოქმედებას იმიტომ ეწეოდა, რომ 15 წლის განმავლობაში პოლიტიკაში მოსვლას ელოდა. ივანიშვილის ქველმოქმედება თურმე ერთგვარი „პადკორმკა“ იყო, რომელსაც თევზებს წინადღით უყრიან, რათა მეორე დღეს ბევრი თევზი დაიჭირონ. ამ აზრის მომხრენი მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, რუსეთს ივანიშვილის ფაქტორის გამოყენება დასჭირდა...**

– როდესაც ერთპროცენტიანი ექსპერტები ვახსენე, ჩოლოყაშვილიც მათ რიცხვს მიეკუთვნება. თუ ამის პროტესტი გაუჩნდება, შეუძლია, გადაამოწმოს.

**– ვინმე ირწმუნებს, რომ ბიზნესმენი თურმე 15 წელიწადს მოთმინებით ელოდა ქართულ პოლიტიკაში მოსვლას?**

– რამდენადაც ჩვენ გვაქვს ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან, ბიძინა ივანიშვილი სულ რაღაც ორი-სამი თვის წინათ ჯერ კიდევ არ ფიქრობდა პოლიტიკაში შემოსვლას. მთელი მისი ცხოვრების წესი აჩვენებს, რომ პოლიტიკა მისთვის არ იყო მიზანი. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი სოფელში ცხოვრობდა. წარმოიდგინეთ, ოთხი წლის განმავლობაში, საერთოდ არ გასულა იქიდან. ფაქტობრივად, ის ბუნებასთან იყო შერწყმული და პოლიტიკაში მოსვლის არანაირი ამბიცია არ გამოუვლენია. პირიქით, ეხმარებოდა ხელისუფლებას. პირველ რიგში, მასთან თანამშრომლობდა, ალბათ იმიტომ, რომ ფიქრობდა, ხელისუფლების დახმარებით საქართველოს ეხმარებოდა. ეს ლოგიკურიცაა, შენს ქვეყანას ეხმარები ხელისუფლების გავლით. თუმცა გარკვეულ ეტაპზე, ალბათ, დაინახა, რომ ეს ორი სხვადასხვა რამეა. ხელისუფლების დახმარება სულაც არ ნიშნავს ქართული სახელმწიფოს დახმარებას. ამან ყველაფერი ერთ კრიტიკულ წერტილში მოაქცია. მისი გადაწყვეტილება დიდი ხნის გადაწყვეტილება არ გახლავთ. ეს ყველამ იცის, და ბატონმა ჩოლოყაშვილმა რაც არ უნდა ისაუბროს ამაზე, მისი გამონათქვამის მიმართ ნდობა, არა მგონია, ანგარიშგასაწევი იყოს. მას სრული უფლება აქვს, ეს აზრი ჰქონდეს.

**– რას გვეტყვით გუნდის შესახებ, რომელიც ივანიშვილმა გარშემო დაიყენა? რატომ არ ისურვეთ მის გუნდში ყოფნა? თქვენი კანდიდატურა ხომ ყველასთვის მისაღები იქნებოდა?**

– მე მქონდა მასთან საუბარი. უბრალოდ, მე არ ვარ პოლიტიკოსი, ჩემი ფუნქცია და ჩემი ადგილი მაქვს ამ საზოგადოებაში. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი ადამიანი ვარ, უბრალოდ, მე ვერ ვიქნები ეფექტიანი, რადგან პოლიტიკოსი სულ სხვა ფსიქოლოგიის ადამიანია.

**– თუმცა რჩევებს მისცემთ ბიძინა ივანიშვილს?**

– სხვათა შორის, ორი წლის წინათ შევხვდი მიხეილ სააკაშვილს, რის გამოც ძალიან გამაკრიტიკეს ჩემმა მეგობრებმა და კოლეგებმა. რატომ შეხვდი, ხომ იცი, მაინც აზრი არ ჰქონდაო? თუ პრეტენზია მაქვს, ვიყო ექსპერტი, ჩემი პროფესიული ვალია, მივცე რჩევა ნებისმიერ ადამიანს, ვინც გავლენას ახდენს ჩემი ქვეყნის ცხოვრებაზე. ისევე, როგორც ექიმი, ვალდებულია, მტერსაც კი უმკურნალოს. მით უმეტეს, ბიძინა ივანიშვილს არასოდეს არ დავზარდები, თუ მას ჩემი აზრი დააინტერესებს, რომ შეხედულება გავუზიარო.

**– ის გუნდი, ვინც მის გარშემოა... ალბათ, უკვე გაიგებდით მოსაზრებებს ცალკეული პერსონების მიმართ, რომ ისინი დაღუპავენ ივანიშვილს.**

– წინასწარ ესეც მოსალოდნელი იყო. ბიძინა ივანიშვილს ახლა, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვას, ორ ფრონტზე ბრძოლა უწევს. ერთი, ის ჩაერთო ხელისუფლებასთან ბრძოლაში, მაგრამ, ამავდროულად, შიგნიდან ბრძოლაც მიმდინარეობს. ჩვენ გვესმის, რომ მეორე მხარესაც ძალიან გრძელი რიგი დადგება და ერთგულების მტკიცება დაიწყება. არაერთხელ გვინახავს ასეთი „ერთგული“ ადამიანები მერე კურდღლებივით რომ გარბიან, როგორ ღალატობენ თავიანთ კერპს. ასე რომ, ესეც არანაკლებ მძიმე ფრონტი იქნება მისთვის. რაც შეეხება დღეს არსებულ სიტუაციას, რა გითხრათ, მისი გუნდის შესახებ ჯერჯერობით არაფერი მსმენია. იქ სულ რაღაც ორ-სამ ადამიანს ვხედავთ, გუნდი რასაც ჰქვია, ჯერ არ ჩანს. იმედია, მალე გამოჩნდება. რაც მთავარია, ბიძინა ივანიშვილი უკვე საჯაროდ გამოჩნდება.

ჟურნალისტები უკმაყოფილონი არიან, რომ აქამდე არ გამოჩენილა იგი საჯაროდ. პირველ რიგში, გეტყვით, რომ ეიფორია, რომ „თურმე საუბარი უჭირს“, ზღაპარია. ძალიან კარგადაც ლაპარაკობს და აყალიბებს თავის მოსაზრებებს. თუმცა, საჯარო პოლიტიკა სპეციფიკური საქმეა. ჩვენ არ უნდა გავამტყუნოთ ამის გამო. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბიძინა ივანიშვილი არ ფიქრობდა პოლიტიკაზე. მას რომ ამდენ ხანს ეფიქრა, დამერწმუნეთ, პირველივე დღეს გამოჩნდებოდა ტელეეკრანებზე. ის, რომ ამისთვის პასუხისმგებლობითა და საფუძვლიანად ემზადება, მეტყველებს იმაზე, რომ გადაწყვეტილება ცოტა ხნის წინათ მიიღო. უბრალოდ, ამისთვის მზად არ იყო, მაგრამ მე ვფიქრობ, ძალიან მალე ვიხილავთ. ჩემი აზრით, ეს ყველასთვის სიურპრიზი იქნება.

**მანანა ნოზაძე**

## თვალსაზრისი

(მეოთხე გვერდიდან)

აგერ სულ ახლახანს გამოქვეყნდა იმ ცნობილი „ენ-დი-აის“ გამოკითხვის შედეგები, რომელიც იმას ღაღადებს, რომ „ქდპ“-ს და მის ლიდერს ორჯერ, სამჯერ უფრო მაღალი რეიტინგი აქვს სხვა ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით..

პირადად მე უფრო „სიამოვნებით“ მჯერა მიშნაცების, როგორც რუსები იტყოდნენ, „ზაობლოჩნი“ რეიტინგის, ვიდრე იმის, რომ გალსტუკიან ხვლიკს უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ირაკლი ალასანიას, ან გნებავთ იგივე ივანიშვილისგან შერისხულ შალვა ნათელაშვილს.

### ახლები. ანუ ძველი პოლიტიკური თითლიბაზები...

**ახლებმა დიდი ხნის წინათ განვაცხადეთ, რომ არავისთან გაერთიანებას არ ვაპირებთ და არჩევნებში დამოუკიდებლად მივიღებთ მონაწილეობასო. ასე რომ, ბიძინა ივანიშვილს რომც მოენდომებინა ჩვენთან თანამშრომლობა, ტყუილად დაშვრებოდაო!**

აი, ეს იყო შინაარსი დავით გამყრელიძის პასუხისა ბატონი ბიძინას ერთმნიშვნელოვან ბრალდებაზე ახლების მიმართ.

ვერაფერს იტყვი, რვიანში ჩანერგილი მეორე „ტროას ცხენი“ პარტიის ლიდერი, თითლიბაზობასთან ერთად, „დახვეწილი, ყოვლის წამლეკავი“ იუმორის ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული. მაგრამ მაგისთანა ღიმილს რომ უფრო ტირილის სუნი უდის, ამას რა ვუყოთ? ბოროტი ენები ამბობენ, რომ ახლები ძალიან განიცდიან საკუთარ სულსწრაფობას, რადგან ვინ იცის, მაშინ რვიანში კუბლაშვილის მილიონზე თანხმობა რომ არ ეჩქარათ, იქნება ახლა გაცილებით მეტისთვის გამოეკრათ ხელი? თუმცა, ქდპ-ს, იგივე ლეიბორისტებისგან განსხვავებით, ახლებს იმის ჭკუა ნამდვილად ეყოთ, რომ სულელური კონტრბრალდებები არ წაუყენეს ბიძინას. რითიც, დაკარგულ მილიონებს ვინლა ჩივის, საერთოდ მოიჭრიდნენ თავს.

თუმცა მე ის უფრო მაინტერესებს, სად იყო და რატომ არ ჩანდა ახლების ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე, რომელიც არა მარტო მე მესიმპათიურება, არამედ საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილს, როგორც ეროვნულ მოძრაობასთან ასოცირებული მშვენიერი და ჭკვიანი ქალბატონი? ვფიქრობდი, იქნებ ფიქრიამ მოახერხოს და ბოლომდე არ ჩაჰყვეს ახლების „იალლიშს“ და იმ ცალკეული პიროვნების სიაში მოხვდეს, ვისთანაც თანამშრომლობას, მიუხედავად პარტიული წარსულისა, არ გამორიცხავს ბატონი ბიძინა. როცა ამბობს, რომ საქართველოს დასაკარგი ადამიანები არა ჰყავს!

მაგრამ ამას წინათ გამოჩნდა მაესტროზე და...

სამწუხაროა! ნამდვილად არ მემეტება ფიქრია დასაკარგავად...

### ლეიბორისტები...

**გამოგიტყდებით და ივანიშვილის მიერ „შერისხული“ პარტიებიდან ყველაზე მეტად, „ლეიბებზე“ დამწყდა გული, მაგრამ გაკვირვებით არ გამკვირვებია, რადგან ერთიც არის – მათი „ორსაუკუნოვანი“ ოპოზიციონერობა, საკუთარი მარცხის მუდმივად სხვებისთვის გადაბრალება, თვალყურისთვის საამო, მაგრამ მაინც პოპულისტური რიტორიკა, უკვე გაცვეთილი და მომაბეზრებელია.**

დავუშვათ და, ეს ყველაფერი მაინც არ იძლევა სრულ საფუძველს იმისა, რაშიც ბიძინა ივანიშვილი ბრალს სდებთ, მაგრამ, როგორც მინიმუმ, იმისი ფიქრის უფლებას მაინც იძლევა, რომ შალვა ნათელაშვილს აკმაყოფილებს ის ნიში და ამომრჩეველთა სტაბილური მარჟა, რაც გარანტირებულად აქვს ამ პარტიას წლების მანძილზე. ეს კი, ნებით თუ უნებლიეთ ხელისუფლების წისქვილზე მიუშვებს წყალს.

მაგრამ მუდმივი არაფერია ამ ქვეყანაზე და „ლეიბების“ აგრესიულმა რეაქციამ ბიძინას, დავუშვათ, ნაკლებად საფუძვლიან ბრალდებებზე, შეიძლება ის ნიშიც დააკარგვინოს. ამიტომ მათთვის და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის ჯობია, მოეშვან დებატებში ბიძინასთან შალვას დაჯდომის უტოპიაზე ოცნებას, მით უმეტეს იმ აბსურდს, რომ თურმე ბიძინას განცხადების მიზეზი, შალვას მიმართ წლების მანძილზე დაგროვილი ბოღმა (რა ბოღმა და შური უნდა ჰქონდეს, რა, ბაზალეთის ტბისძირა აკვანი არ მისცა შალვამ?) ყოფილა. რადგანაც ასეთი რამერუმეები კონტრპროდუქტიულია თუნდაც იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილის მიმართ, ქართველი საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში კონსენსუსი აშკარაა – რომ ეს კაცი, პატარკაციშვილის შემდეგ მეორე და, ალბათ, უკანასკნელი შანსია საქართველოს გადარჩენისა!

### ედპ – პარტია. ანუ გულს ნუ გაიტეხ ბაჩუკა. მიშამ ოფისი გაჩუქა...

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ერთ დროს მართლაც წამყვანი ეროვნული ძალა, რომ პრაქტიკულად დღეს აღარ**

# ობიექტურობა თუ ადეკვატურობა?

**არსებობს და მისი საპარლამენტო წარმომადგენელი გურამ ჩახვაძე და განსაკუთრებით ამ პარტიის უთავო, მაგრამ თავგასიებული თავმჯდომარე, რომ ერთი ანეკდოტის პერსონაჟები არიან, ეს, როგორც იტყვიან, არახალია!**

ახალიც და საინტერესოც ის არის, რომ ბაჩუკის მგონი მართლა სჯერა,



რომ პროდასავლურობის მებაირახტრეა საქართველოში და მომენტს არ გაუშვებს, რომ საქართველოს ნატოში, ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივაზე ლაილაით ბუქი არ დააყენოს. ანუ, იმაზე, რამაც დიდი ხანია „ჩაილულის წყალი დალია“.

თუმცა მერე რა? ენას ხომ ძვალი არა აქვს და ეგ როგორ გაბედა ბიძინამ, რომ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას ძახილის ნიშანი დაუსვა, ხოლო ნატოში შესვლა კურსორით არ გამოყო თავის წერილშიო და სულ კრემლის აგენტი და პუტინის ძმაკაცი ეძახა ბატონ ბიძინას.

მაგრამ რა ქნას მაგ საწყალმა – ბაჩუკი და, მისი პარტია ვის ახსოვდა ნაცების მოსვლამდე? ჰოდა, როგორც შეუძლიათ ემსახურებიან პატრონს. ხუმრობაა, რუსთაველის ცენტრში ნაცებსაც კი არა აქვთ პარტიული ოფისი და აგერ „ოპოზიციური“ ედპ-ს ოფისს ხელს არავინ ახლებს. არადა, როგორი მაგარი ადგილია კაი შერატონბორდელისთვის?

ამიტომ ბაჩუკის არაფერი აქვს დასაკარგი მიშას მფარველობის გარდა. არც ის აღელვებს, რომ ბიძინაზე ტლიკინით გამარგინალდება, რადგან, როგორც რუსები იტყვიან, „დალშე ნეკუდა“, როგორც არის, იმაზე მეტად გამარგინალება ედპ-ს თვით ყოვლისშემძლე ბიძინასაც არ ძალუძს.

ასე რომ, ლამაზი ქვრივი მელანოსი არ იყოს, „გულს ნუ გაიტეხ ბაჩუკი, შენ ეგ არ შეგშვენის“, გახედე, „რა მადლიანად ანათებს“ ივანიშვილის სახელი...

### გია თორთლაძე. ანუ ჩვენი პადოშა...

**თუმცა რატომ ჩვენი? პადოშადაც და ლანჩადაც, დიდი ხანია მიშნაცებს ეგება ფეხქვეშ. თუმცა, ამ ბოლო დროს, ეტყობა, პადოში გაუცვდა და ამიტომ წინა არჩევნებზე, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ნომრად, ანუ პარტიის სახედ, „ქალბატონი სერგო იზას ძე“, მაია ორჯონიკიძე ჰყავდა, რომელსაც ხელისუფლების გადაყენება არავითარ შემთხვევაში, მხოლოდ ბავშვის გადაყენება გაუგია ღამის ქოთანზე, ამ აშკარა ქლესობამაც ვერ უშველათ და „საამაყო“ 1% დაუწერეს.**

მაგრამ, როგორც თბილისური ჟარგონით იტყვიან, „რეშკაზე მაინც არ ეცემა“ პადოშევერესტოვიჩი და, ახლების ლიდერის არ იყოს, „დახვეწილი“ იუმორით უპასუხა ბიძინას ბრალდებას – მე ბიზნესმენი არა ვარ და ბიძინა კი პოლიტიკოსიო. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენი თანამშრომლობა ვერ შედგებოდაო...

მოდით იმ „წვრილმანზე“ ნუ გამოვეკიდებით, რომ პადოშას, რომლის ალპინისტობაშიც კი (არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხმებს უვრცელებენ, ევერესტზე არ ასულაო, არამედ პირველ რიგში იმიტომ, რომ ალპინისტობა უწინარესად კაცობის, რაინდობის მწვერვალების დაპყრობას, ულალატობის ტესტის ჩაბარებას ნიშნავს და მხოლოდ ამის შემდეგ, კავკასიონის თუ ჰიმალაების ტრავერსებს. ყოველ შემთხვევაში ამას უმღეროდა „ჩვენი მტერი“, რუსი ვლადიმერ ვისოცკი) ეჭვი გვეპარებოდა, თურმე ნუ იტყვით და, პოლიტიკოსიც ჰგონია საკუთარი, შუბლზე პადოშგადაკრული თავი.

ისე, ერთში ნამდვილად მართალია – სად პადოშა და სად ბიძინასთან თანამშრომლობა, მაგას ჰავლაბრელ „საპოჟნიკებთან“ ამხანაგობა უფრო სჭირდება, რადგან, იქნება ზემოთ ნახსენები გაცვეთილი პადოში, ახალი „პადმიოტკანაბოიკით“ შეუცვალონ...

ვატყობ, ნამეტანი ვრცელი გამომდის ეს წერილი და, ვინძლო, ტყუილად ვწვალობ – რედაქტორმა სიდიდის გამო იქნებ არ დამიბეჭდოს. ამიტომ დანარჩენ, შედარებით „წვრილფეხობაზე“, პარტიები იქნება თუ ცალკეული „ექსპერტები“, შევეცდები მოკლედ მოგახსენოთ.

აქედან გამომდინარე და ისედაც, „ქართულ პარტიაზე“ ბევრი ლაპარაკი არ ეგების, რადგან, ედპ-სი არ იყოს, პრაქტიკულად არც ეს პარტია აღარ არსებობს. რაც შეეხება მის ერთ ლიდერს, ეროსი კიწმარიშვილს, რომელიც სულ სხვა მიზეზით მოხვდა ბიძინას მიერ პერსონალურად შერისხულთა სიაში, ამ პოლიტიკურმა შულერმა (გოგა ხაინდრავას მიგნებით), კიდევ ერთხელ აჩვენა საკუთარი თავი, როცა ჯერ „კავკასიაში“ და შემდეგ „მაესტროზე“, ისეთი ტყუილი დაახეთქა ივანიშვილისა და ოქრუაშვილს შორის ვითომდაც მიმდინარე მოლაპარაკებების სახით, რომ კიწმარიშვილის მსგავსი გათახსირებულისგანაც კი გასაკვირი იყო.

პაატა დავითაიას „ჩვენ თვითონ“, ხომ საერთოდ... ამ პარტიამ მოკლე ხანში დაგვიმტკიცა, რომ მართლაც დიდოსტატურად „თვითონ“ უზრუნველყო საკუთარი კეთილდღეობა, ანტირუსული, ურაპატრიოტული რიტორიკით. რითიც, ივანიშვილის კასტინგის რა მოგახსენოთ, მაგრამ მიშას კასტინგში ნამდვილად მიიქცია ყურადღება.

რაც შეეხება რამაზ საყვარელიძეს და მის ირონიას, რომ თურმე ხელისუფლების და ოპოზიციისგან თანაბარი დისტანცირების გამო მოხვდა ბიძინას მიერ შერისხულთა სიაში, რაც კომპლიმენტად მიუჩნევია, იმას რას დაარქმევს, რომ, როგორც წესი, მის პოლიტ თუ ფსიქო ანალიზებს აშკარად უდის, როგორც რუსული გამოთქმაა – „и нашим и вашим“, კონფორმისტული სუნი?

და აქვე, კიდევ ერთი სტაჟიანი, როგორც ჩვენში იტყვიან, ნიკოლოზას დროინდელი „პოლიტოლოგის“, სოსო („სოსიკო და შარვალი“ – ისევ ამაშუკელი) ცინცაძის დიდაქტიკური პასუხის გამო, რაც უფროს-უმცროსობის უადგილოდ მოხმობაში გამოიხატა და, როგორც საკუთარ შვილს, წელსქვემოთ ხელის შემოკვრით დაემუქრა ბიძინა ივანიშვილს.

ეეეჰ, „ბატონო“ სოსო! უფროს-უმცროსობის ტრადიციასაც რომ საფრთხე დაემუქრა სხვა ტრადიციებთან ერთად, ამიტომაც მოვიდა პოლიტიკაში ბატონი ბიძინა. მაგრამ ასაკით უფროსობა უპირობოდ პატივისცემას, მით უმეტეს პოლიტიკაში, არ ნიშნავს. რადგანაც ჭკუა ყოველთვის ხანში კი არა, ხანდახან თავშიც არის ხოლმე. უპირობოდ, მხოლოდ უფროსობის გამო, ყვითელ ავტობუსშიც ველარ დაგითმობენ ადგილს, რადგანაც ლიბერასტული დასავლეთიდან შემოგდებული უნარ-ჩვევების ტესტებით „დააქლიავეს“ ახალგაზრდობა.

დასავლეთზე გამახსენდა და, საზოგადოებასაც შევახსენებ, რომ ეს ის „სოსიკო და შარვალია“, რომელმაც უფროსი კოლეგა-მასწავლებლის, ცხონებული აბონ ციციაშვილის მსგავსად, „საზიზღარი ამერიკის“ ლანძღვა-გინებით და „დიადი საბჭოეთის“ ქებით გაიკეთა კარიერა. ოღონდ მასწავლებელი მოწაფეზე ზეობრივი აღმოჩნდა – სოსიკოსავით „პლასტინკა არ გადაუბრუნებია“, სსრკ-ს დამთავრებასთან ერთად დაამთავრა პოლიტოლოგობა და ისრაელში უყვებოდა შვილიშვილებს, თუ როგორ ასწავლიდა რონალდ რეიგანს ძველი ქართული ანდაზების სიბრძნეს. სადაც აღესრულა კიდეც მოხუცებული.

ჩვენი სოსო კი, ახლა იგივე წარმატებით აქებს და ადიდებს დასავლეთს, როგორც ადრე ლანძღავდა და უფრო მეტიც, დისერტაციებსაც კი იცავდა საზიზღარი ამერიკის თემაზე...

**და ბოლოს, რითიც დავიწყე იმითვე დავამთავრებ:**

გოგა ხაინდრავას კიდევ ერთხელ დავესესხები და მამუკა ღლონტს, მართლაც თხასავით „მეე-მეეს“ რომ გაიძახის, ნუ დაავიწყდება, რომ „მაესტროს“ არსებობა არა ე.წ. დამფუძნებლების დამსახურებაა, არამედ იმ ასობით და ათასობით მოქალაქეებისა, ვინც „მაესტროსთვის“ ლიცენზიის მიცემის თუ სატელიტზე გასვლის მოთხოვნით, აქციებს მართავდნენ ქუჩაში და რომელთაგანაც ბევრი [illegible]სებს მილმა აღმოჩნდა.

ან კიდევ – საკანი ნომერი 5, შეცდომა იყოო! დღეს აცხადებს ღლონტი, რადგან ამით ოპოზიციის საქმე გავაკეთეთო. არადა, სწორედ მაშინ იყო მაესტრო პოპულარობის პიკზე, როცა მთელი თბილისი ღამეებს ვათენებდით გრეჩოსთან ერთად იმიტომ, რომ მაშინ მაესტრო დღევანდელივით „ობიექტურობას“ კი არ აწვებოდა, ადეკვატური იყო საზოგადოების განწყობისა. რაც შეეხება ოპოზიციის საქმის კეთებას თუ ეს საქვეყნო საქმის კეთებას, ნიშნავს, დიახაც უნდა აკეთო! და მაშინ ასე იყო...

ის სხვა თემაა, რომ მაშინდელმა ოპოზიციამ, კიდევ ერთხელ „დაზადნა“. ახლა, როდესაც გამოჩნდა პიროვნება, რომლის იმედიც აქვთ, რომ ისიც უკან არ დაიხევს, ობიექტურობის თუ სარედაქციო დამოუკიდებლობის ზღაპრები „ბებია ალათის“ მოუყვნენ და ბიძინა ივანიშვილს მხარში უნდა ამოუდგნენ.

უფრო მეტსაც ვიტყვი: რამიშვილი რომ ვიშვიშებდა, რა ვქნა, კითხვები რომ მიჩნდება, არ დავსვაო? რაზედაც პირდაპირი ადეკვატური პასუხი ვერც გრეჩომ და ვერც ხაინდრავამ ვერ გაბედეს, მე ვუპასუხებ – დიახ, შალვა რამიშვილო! თუ იცი, რომ ხელისუფლების წისქვილზე მიუშვებ წყალს, ის შენი „ობიექტური“ კითხვა არ უნდა დასვა!

რაც შეეხება „კავკასიას“ და მის „დუელიანტ“ აქუბარდიას, რომელმაც – „ძველი დრო რომ იყოს, დუელში გამოგიწვევდი“! დაემუქრა ივანიშვილს...

იმ „ძველ დროში“ დუელში ასე ჰაიჰარად ვერავინ ვერავის გამოიწვევდა! ანუ, გვარიშვილობით თუ სხვა ღირსებებით ტოლ-სწორი უნდა ყოფილიყავი იმისა, ვისაც „ხელთათმანს ესროდი“. სხვა შემთხვევაში იმ ხელთათმანს აიღებდნენ და მარტივად ცხვირს მოიხოცავდნენ, რაც იმას ნიშნავდა – წადი ბიჭო, ტოლი ნახეო...

ახლა მავანი იტყვის, არც ბიძინაა ბაგრატიონ მუხრანსკიო! კი, ბატონო, მაგრამ ეს ის აქუა, რომელიც საკუთარმა ცოლმა (პირველმა), მშვენიერმა ქალბატონმა და პოეტმა ლია ბედოშვილმა, იმის გამო, რომ ამ 20 წლის წინათ აფხაზეთში საომრად წასვლაზე უარი განაცხადა აქუ ბატონმა, „კუხნის დანით“ უკანალში დაკოდა დეზერტირი და თავად წავიდა ჯაბანი ქმრის ნაცვლად ომში!

არადა, ჩაიხადოს შარვალი (გასაგები მიზეზების გამო), ვაპატიებთ ამ უზრდელობას და პირდაპირ ეთერში გვაჩვენოს, აქვს თუ არ აქვს აქუს ტაკონაიარევი!

ეს ამბავი, რომ იტყვიან, ქვეყანამ იცის და პირველად პრესაში მაშინ „გაუბაზრდა“, როდესაც დავით აქუბარდიამ, ნინო ჯანგირაშვილმა და ალეკო ელისაშვილმა, თავისუფლების ინსტიტუტის დავალებით სპეცოპერაცია ჩაატარეს კავკასიის პირდაპირ ეთერში კოდური სახელით „ბარიერი“. რის შედეგადაც მართლმადიდებელი ბიჭები დაიჭირეს და დღეს მრავალწლიან „სროკებს“ იხდიან. ასე რომ, დროის მიუხედავად „აქუბანძიას“ თუნდაც ამიტომ არ ეკუთვნის ბიძინა ივანიშვილის დუელში გამოწვევა.

რაც შეეხება ზოგადად „კავკასიას“, წერილის თავშიც ვისაუბრეთ და ა[...] მხოლოდ ერთს დავამატებ – იხილე[...] 14 ოქტომბრის „ბარიერი“, რაც ქრეს[...] ტომატიული მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ობიექტურობანა[...] თამაშობდე და თან ხელისუფლები[...] საქმეს აკეთებდე. ხოლო მათთვის, ვინც ნახა ეს გადაცემა, არც ის არის გაუგე[...] ბარი, თუ რატომ უწოდა „კავკასიას“ ბიძინა ივანიშვილმა სპეცდანიშნულე[...] ბის ტელევიზია.

**დავით მხეიძ[...]**

P. S. ვფიქრობ, ამ წერილის თემატიკა, გნებავთ კითხვა – მედიის ობიექტურობა თუ ადეკვატურობა – მას შემდეგ უფრო გახდა აქტუალური, რაც იმედის „ზაგატოვკა“ ვიხილეთ, რომელიც „მოდელირე[...] ბული ქრონიკის“ საუკეთესო ტრადიციებით არის გაკეთებული[...] გაგრძელება კიდევ იქნება! ჯერ ხომ ე.წ. საზოგადოებრივ არხს და[...] რაც მთავარია, „რუსთავი-2“-ს არ უთქვამთ სეფე სიტყვა. ასე რომ, საზოგადოებამ განსაჯოს, თუ რამდენად მართებულია წინამდებარე წერილის კატეგორიული ტონი და პათოსი...

**დ. მ[...]**

## თარიღი

**მიმდინარე წელს სრულდება გამოჩენილი მეცნიერის, ქართული ელექტროქიმიური სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს რაფიელ აგლაძის დაბადების 100 წლისთავი.**

# მთელი ცხოვრება ქვეყნისთვის იღვაწა

## რაფიელ აგლაძე - 100



რაფიელ აგლაძე და ნიკოლოზ მუსხელიშვილი

რაფიელ აგლაძის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა რიგი წამყვანი მიმართულებების შექმნა და განვითარება. მისი უშუალო თაოსნობით და მონაწილეობით საფუძველი ჩაეყარა არაერთ სამეცნიერო-კვლევით ცენტრსა და უმაღლესი ტექნიკური განათლების კერას, ქიმიურ და მეტალურგიულ წარმოებას.

რაფიელ აგლაძე დაიბადა 1911 წლის 29 დეკემბერს ქ. თბილისში. მისი მშობლები ქართული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, გაზეთ „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლები და დიდი ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლები იყვნენ. შემდგომში ილია აგლაძე მუშაობდა „სახალხო გაზეთის“, „ცნობის ფურცლის“, „დროების“ რედაქტორად. მას თარგმნილი აქვს ქართულად მსოფლიო ლიტერატურის არაერთი შედევრი. მისი მეუღლე ოლღა ბეჟანიშვილი-აგლაძისა დაუღალავად ემსახურებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. მშობლებმა და მათმა გარემოცვამ დიდი როლი ითამაშა რ. აგლაძის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების საქმეში.

რაფიელ აგლაძე თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში, შემდეგ – ქიმიურ ტექნიკუმში და საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდგომ რუსეთში, ჩერნორეჩენსკის ქიმიურ კომბინატში მუშაობდა ინჟინერ-ტექნოლოგად. ჯერ კიდევ სტუდენტობისას იგი „ოსოავიაქიმის“ ქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელია და აქვეყნებს პირველ სტატიებს ქლორის ელექტროქიმიური გზით მიღების საკითხებზე.

1935 წელს იგი ჩაირიცხა დ. მენდელეევის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც მან დაამუშავა საქართველოს მთავარი წიაღისეული სიმდიდრის - მანგანუმის მადნების ჰიდრო-ელექტრომეტალურგიული გადამუშავებით სუფთა ლითონური მანგანუმის მიღების პიონერული ტექნოლოგია.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად იმ დროს მსოფლიოს წამყვან მეტალურგიულ ცენტრებში ინტენსიური კვლევები ტარდებოდა, მაგრამ მხოლოდ ქართველი მეცნიერის მიერ მანგანუმის კომპლექსური ნაერთების წარმოქმნის ოპტიმალური პირობების დადგენის შემდეგ გახდა შესაძლებელი მისი სამრეწველო განხორციელება. სწორედ ამ მიზნით იყო მოვლინებული მოსკოვიდან ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში რაფიელ აგლაძე ომის დაწყებისთანავე 1941 წლის სექტემბერში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

უმოკლეს ხანში, 1941 წლის ბოლომდე, რ. აგლაძემ ქარხნის კოლექტივთან ერთად შეძლო სრულიად ახალი წარმოების ათვისება და ხალასი ლითონის ურალის სამხედრო ქარხნებისთვის სისტემატური მიწოდების უზრუნველყოფა, სადაც მას სპეციალური საჯავშნო ფოლადების და ავიაციისთვის საჭირო შენადნობების დასამზადებლად იყენებდნენ.

ამ სამუშაოსთვის რაფიელ აგლაძეს 1942 წლის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. 1943 წელს პრესაში გამოქვეყნდა მის სახელზე უმაღლესი მთავარსარდლის „პირადი მისალმება და მადლობა შეიარაღებულ ძალებზე ზრუნვისათვის“, 1944 წელს კი უმაღლესი სახელმწიფო ორდენი მიენიჭა „ახალი მარკის ფოლადების ათვისებისათვის“.

1946 წელს რაფიელ აგლაძე აირჩიეს საქართველოს სსრ აკადემიის ნამდვილ წევრად. 1947 წელს კი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. 35 წლის ასაკში იგი ყველაზე ახალგაზრდა აკადემიკოსი იყო. შემდეგ წლებში ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და აკადემიის ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარეა.

1945 წელს მისი ინიციატივითა და თაოსნობით შეიქმნა ტექნიკური პროფილის პირველი კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება – ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი, რომლის პირველი დირექტორიც ის იყო. შემდგომში ამ ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა მეტალურგიის, სამთო საქმის, მანქანათა მექანიკისა და საშენ მასალათა ინსტიტუტები. 1956 წელს ამავე ინსტიტუტს გამოეყო გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, რომლის დამფუძნებელი და პირველი დირექტორიც რაფიელ აგლაძე იყო. ამჟამად არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი მის სახელს ატარებს.

1949 წელს რაფიელ აგლაძემ დააარსა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, რომლის პირველი რედაქტორი თვითონ იყო. ჟურნალი სწრაფად გახდა ერთ-ერთი პოპულარული გამოცემა და მან დიდად შეუწყო ხელი მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის შეძენისაკენ ახალგაზრდების სწრაფვას.

რ. აგლაძე აქტიურად მონაწილეობდა ჩვენში ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და ამ პროფილის საწარმოების შექმნის საქმეში. ორმოციან-ორმოცდაათიან წლებში იგი კურირებდა რუსთავში მეტალურგიული და აზოტოვანი სასუქების ქარხნების წარმოების ათვისების, მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფის საქმეს. ჯერ კიდევ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ რ. აგლაძის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციები საქართველოში მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის კოოპერირების შესახებ დღესაც ძალზე აქტუალურია და სახავს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის ძირითადი პრობლემების რაციონალურად გადაწყვეტის გზებს.

რ. აგლაძის და მისი მოწაფეების მიერ შექმნილია მანგანუმის გადამუშავების ყველაზე ძვირადღირებული საექსპორტო პროდუქტების – დამჟანგველების მიღების ტექნოლოგიები, რისთვისაც პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. 1956 წელს რუსთავში რაფიელ აგლაძის ტექნოლოგიით შეიქმნა კალიუმის პერმანგანატის წარმოება. სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში ჩატარებული კვლევების შედეგად კალიუმის პერმანგანატის მიღების ტექნოლოგიამ მნიშვნელოვანი სრულყოფა განიცადა – პირველად მსოფლიო პრაქტიკაში შეიქმნა ახალი ტიპის ელექტროლიზური ბიპოლარულად მომუშავე ფერომანგანუმის ნაყარი ელექტროდებით. ამ პრინციპულმა სიახლემ მნიშვნელოვნად გაზარდა საამქროს წარმადობა და შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

დიდი როლი ითამაშა რ. აგლაძემ დენის ქიმიური წყაროების აქტიური მასალის – ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის წარმოების სრულყოფის საქმეში. მან თავის მოწაფეებთან ერთად შესძლო გადაეჭრა ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის წარმოების ძირითადი პრობლემა – საანოდე მასალის შერჩევის საკითხი. რ. აგლაძის და მისი მოწაფეების მიერ შემუშავდა საანოდე მასალა – ტიტან-მანგანუმის შენადნობი. ახალი ტიპის დადუღებული ტიტან-მანგანუმის ანოდების დანერგვამ რუსთავის ელექტროლიზური მანგანუმის ორჟანგის ქარხანა გაჩერებისაგან იხსნა.

აღსანიშნავია, რომ რაფიელ აგლაძის და მისი მოწაფეების მოღვაწეობის შედეგად საქართველოს მანგანუმის ელექტროქიმიური პროდუქტების წარმოებისა და ექსპორტის დარგში ევრაზიის კონტინენტზე მონოპოლიური ადგილი ეკავა თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რაც ჩვენი მრეწველობისა და ზოგადად ქვეყნისთვის უნიკალურ მიღწევას წარმოადგენს.

რ. აგლაძის მოღვაწეობის სფერო მხოლოდ მანგანუმის და მისი ნაერთების მიღების ტექნოლოგიებით არ შემოიფარგლება. მან თავის მოწაფეებთან ერთად შექმნა და წარმოებაში დანერგა ლითონური ქრომის და მისი ნაერთების მიღების ელექტროქიმიური ტექნოლოგიები. ამ კვლევათა შედეგები ცალკე კრებულის– „ქრომის ჰიდროელექტრომეტალურგია“ სახით არის დაბეჭდილი. ასევე ცალკე კრებულად არის დასტამბული შრომები სპილენძის, თუთიასა და ნიკელის შენადნობების შესახებ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის მიერ საქართველოს მნიშვნელობით მეორე წიაღისეული სიმდიდრის - მადნეულის სპილენძის და ოქროსშემცველი მადნების კომპლექსური გადამუშავების ჰიდროელექტრომეტალურგიული ტექნოლოგიების დამუშავება.

თანამშრომლებთან ერთად რ. აგლაძის მიერ შემუშავებულია ტყიბულის ლიპტობიოლიტური ფიქლების გადამუშავების ტექნოლოგიები, მათ შორის თიხამიწის მიღების ტექნოლოგია. მნიშვნელოვანია რაჭის (ზოფხიტოს) პოლიმეტალური მადნების კომპლექსური გადამუშავების ორიგინალური ტექნოლოგიები.

რ. აგლაძის და მისი მოწაფეების მიერ დამუშავებულია ფერიტებისა და ჰიდროქსილამინის მიღების ორიგინალური ტექნოლოგია. მისი ხელმძღვანელობით დამუშავებულია კოროზიისაგან დაცვის ახალი პროტექტორები, რომლებმაც გამოყენება პოვეს გემთმშენებლობაში.

რ. აგლაძემ დიდი როლი ითამაშა საქართველოში საინჟინრო კადრების მომზადების საქმეში. 1943 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მან დააარსა ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგიის კათედრა, რომლის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება 1948 წელს შედგა. რ. აგლაძე ამ კათედრას 1986 წლამდე ხელმძღვანელობდა. იგი გამოყენებითი ელექტროქიმიის დარგში რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორია, რომლებითაც დღესაც მიმდინარეობს ქიმიური ტექნოლოგიის პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების სწავლება.

რ. აგლაძე 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 70-ზე მეტი საავტორო მოწმობის და გამოგონების ავტორია. ბევრი მათგანი თარგმნილია უცხო ენაზე და ფართოდ არის გაშუქებული სხვადასხვა მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში. რაფიელ აგლაძის ხელმძღვანელობით შესრულებულმა სამუშაოთა კრებულებმა – „მანგანუმის ელექტროქიმია“ (9 ტომი) და „ქრომის ჰიდროელექტრომეტალურგია“ მაღალი შეფასება დაიმსახურა სპეციალისტთა წრეებში და ითვლება მსოფლიოში ამ დარგში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მეცნიერულ ნაშრომებად.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ იგი უცბად გატეხა და იგი სულ რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. მისი ნეშტი ქართულმა საზოგადოებამ დიდუბის პანთეონის მადლიან მიწას მიაბარა, სადაც ის მშობლების გვერდით განისვენებს.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## დედამიწის ზურგზე



**ძალოვანთა მუშტიკრივი ჩინეთში: ასობით პოლიციელმა მოაწყო ჩხუბი სამხედროებთან**

კონფლიქტი წარმოიშვა შაბათ საღამოს: პოლიციელებმა სცემეს ნასვამი სამხედრო მოსამსახურეების ჯგუფს, რომელთა დასახმარებლადაც ასობით თანამოძმე მივიდა. მასობრივი მუშტიკრივის მომენტისთვის წესრიგის დამცველთა ოდენობა განისაზღვრებოდა ასობით. ჩხუბის დროს ჯარისკაცებმა დაარბიეს პოლიციის უბანი.

* * *

**ამერიკელებს, რომლებმაც გაგზავნეს სამხედროები აფრიკაში, უწინასწარმეტყველებენ ახალ გაჭიანურებულ ომს ნავთობის გამო**



პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გადაწყვიტა გაგზავნოს 100 სამხედრო სპეციალისტი ერთბაშად ოთხ ქვეყანაში – უგანდაში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სამხრეთ სუდანში. ამერიკის შეერთებული შტატების ძალების ამოცანაა ებრძოლოს ფანატიკოსებს „უფლის თანამოწინააღმდეგეთა არმიიდან“.

სენატორი მაკკეინი გვაფრთხილებს ავანტიურის ახალ საფრთხეზე, ექსპერტები კი განმარტავენ: ობამა ასუფთავებს ადგილებს მნიშვნელოვანი ნავთობსადენებისთვის.

* * *

**რომი ითვლის „საფინანსო“ უწესრიგობების ზარალს: არის 135 დაზარალებული და ორი მილიონი ევრო ზარალი**

იტყობინებიან 105 დაზარალებული პოლიციელისა და ათობით დემონსტრანტების შესახებ, რომელთა წინააღმდეგაც წესრიგის დამცველებმა გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი და წყლის ტყვიამფრქვევები. მშვიდობიან პროტესტებს შეერთებულმა ანარქისტებმა ეს უწესრიგობანი პარტიზანულ ომად გადააქციეს. ისინი პოლიციელებს ესროდნენ ქვებსა და „მოლოტოვის კოქტეილებს“, უტევდნენ თავდაცვის სამინისტროს და ერთ-ერთ ეკლესიასაც კი. რომის მერი დამარბევლებს გამოძიებით ემუქრება.



* * *

**ჩინოვნიკებმა ტიმოშენკოს ახალ საქმეს მიუმატეს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი და სერიოზული შემცვლელი მოუნახეს იანუკოვიჩს**

უკრაინის ექსპრემიერის წინააღმდეგ მეორე საქმის აღძვრის საბაბი გახდა ანატოლი სერდიუკოვის წერილი. სანამ „ლედი იუს“ ქალიშვილი „სკოლაშია“, თავად იგი ბევრს კითხულობს და ემზადება მისცეს ჩვენებები. ევროკავშირმა დაიწყო პირველი ნაბიჯების გადადგმა მისი გადარჩენისთვის. რუსეთში განაცხადეს, რომ ტიმოშენკოს საქმე არ არის დაკავშირებული რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის ურთიერთობასთან.

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| ობიექტის № | ქალაქი, მუნიციპალიტეტი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი | საბადო ან გამოვლინება | ლიცენზიის მოქმედების ვადა | აუქციონის საწყისი ფასი (ლარი) | „ბე“ საწყისი ფასის 20% (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გრიგოლეთი, | „მალთაყვის“ ტორფის შესწავლა-მოპოვება | 10 წელი | 10 000 | 2 000 |

**X,Y კოორდინატები ობიექტების ადგილმდებარეობის შესახებ**

| № | X | Y |
|---|---|---|
| 1 | 726468 | 4663070 |
| 2 | 726533 | 4663078 |
| 3 | 726561 | 4662804 |
| 4 | 726460 | 4662763 |
| 5 | 726278 | 4662739 |
| 6 | 726295 | 4662758 |
| 7 | 726307 | 4662778 |
| 8 | 726361 | 4662788 |
| 9 | 726444 | 4662836 |
| 10 | 726465 | 4662941 |
| S = 3,37 ჰა | | |
| WGS 1984 | | |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტო. გ. გულუას ქ.№6, ტელ. (832) 272 72 48, აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 18 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის 17 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2011 წლის 18 ნოემბერს 12 საათიდან სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შენობაში. |
| ლიცენზიის მამიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი **200** ლარის ოდენობით წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. | **სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773069 **(სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტო)** |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს შემოტანის ქვითარი | **„ბე“-ს გადახდის ანგარიში:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 302006400 **(სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტო - 6402)** |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი.<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.<br>ე)„ბე“-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები | დაცული იქნეს წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „წიაღის შესახებ“, „წყლის შესახებ“ და "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.<br><br>**აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:**<br><br>ა) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არა უმეტეს 11 თვის ვადაში განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა, ხოლო შესწავლითი სამუშაოების დაწყებამდე ბუნებრივი რესურსების სააგენტოში წარმოადგინოს დაგეგმილი სამუშაოების აღწერა. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია, ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არა უმეტეს 11 თვისა, ბუნებრივი რესურსების სააგენტოში წარმოადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ("გზშ"), "გზშ"-ს ანგარიშში უნდა აისახოს მნიშვნელოვანი რისკები და საფრთხეები, ანგარიში ასევე უნდა შეიცავდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ტექნოლოგიური ციკლის აღწერას და ტექნოლოგიურ სქემას. შესწავლის ვადის ამოწურვისთანავე კანონმდებლობით დადგენილი წესით სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დასამტკიცებლად სააგენტოში წარმოადგინოს შესწავლის მასალები და სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებისთანავე ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); |

| | |
|---|---|
| | ბ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიატი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე; გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მარაგების დამტკიცების თაობაზე სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმის გაფორმების დღიდან და გადახდისას გამოიყენება "სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის N1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესი; ზემოაღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ და მხოლოდ "გზშ"-ს ანგარიშზე დადებითი დასკვნის (თუ ასეთი დადებითი დასკვნა გაცემულია გარკვეული პირობით, აღნიშნული პირობა ლიცენზიის მფლობელისთვის წარმოადგენს სალიცენზიო პირობას და მისი შესრულება სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელის მიერ), აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;<br>გ) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ მესაკუთრესთან შეთანხმებით;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, მათშორის "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| აუქციონზე „ბიჯი“-ს სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| № | სატყეო უბანი | სახეობა | რაოდენობა /ცალი/ | ლიცენზიის მოქმედების ვადა /წელი/ | საწყისი ფასი /ლარი/ | ”ბე” საწყისი ფასის 20 % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მცხეთა-დიდგორი | ყოჩივარდას გორგალი (Cyclamen coum) | 50 000 (ორმოცდაათი ათასი) | 1 (ერთი) | 10 000 | 2 000 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტო, გ. გულუას ქ.№6, ტელ: (832) 272 72 48, აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 18 ოქტომბრიდან – 15 ნოემბრის ჩათვლით 17 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2011 წლის 18 ნოემბერს 1 საათიდან სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შენობაში. |
| ბიჯი შეადგენს საწყისი ფასის 10%-ს | |
| სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. მოსაკრებელი შეადგენს **100** ლარს.<br>სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი: **200122900**, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **220101222**, სახაზინო კოდი: **300773069** (სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტო) |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს “ბე”-ს გადახდის ქვითარი | „ბე“-ს გადახდის ანგარიში: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: **200122900**, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22**, სახაზინო კოდი: **302006400**<br>(სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტო-6402) |
| ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და “გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ” კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | ა) განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე (სასურველი ლოტის მითითებით).<br>ბ) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი.<br>გ) ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.<br>დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები.<br>ე) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ვ) „ბე“-ს გადახდის ქვითარი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო .თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ” დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად.<br>მოცემული დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები:<br>საქართველოს გარემოს დაცვის სმაინისტროს 2011 წლის 19 ივლისი N09-08/1262 წერილით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის მოთხოვნებსა და პირობებს და რომელიც ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

**ფეხბურთი**

# რუსთაველობა ვაკეში

XXIII ეროვნული ჩემპიონატის IX ტურში ორი ტოპ-მატჩი გაიმართა, მაგრამ რადგან ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა „ზესტაფონმა“ თასის მფლობელი „გაგრა“ ბეჭებზე გააკრა – 4:1 (დვალი, გრიგალაშვილი, გელაშვილი – 2; შარიქაძე), ამიტომ მიხეილ



მესხის სახელობის ვაკის სტადიონზე გამართულ „დინამო“ – „მეტალურგის“ პრინციპულ შეხვედრაზე შევჩერდებით.

მოგეხსენებათ, განვლილ უქმეებზე მეათედ აღინიშნა რუსთავქალაქობა, ასე რომ, კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდთა მიერ მოპოვებული გამარჯვება – 3:2 (მიქაბერიძე, მაისურაძე – 2; ალვარო, კახელიშვილი) თანაქალაქელთათვის მიძღვნილ ერთგვარ საჩუქრად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

დავძენთ, რომ ეს მეტოქეთა 41-ე ბრძოლა გახლდათ დამოუკიდებლობის პერიოდში და „თეთრ-ლურჯები“, დამარცხების მიუხედავად, სოლიდურ უპირატესობას ინარჩუნებენ – 26 მოგება, 8 ფრე, 7 წაგება (ბურთების შეფარდება – 86:34).

დანარჩენი შედეგები: „ვიტ ჯორჯია“ – „კოლხეთი“ 2:1 (ლემონჯავა – საკუთარ კარში, ჯანელიძე; დათუნაიშვილი), „დილა“ – „ბაია“ 0:2 (ლომია, წურწუმია), „მერანი“ – „სიონი“ 3:0 (მანწკავა, ტაპე, ჩალაძე), „ტორპედო“ – „ცხინვალი“ 2:0 (დოლიძე, თარხნიშვილი).

სატურნირო მდგომარეობა: „ზესტაფონი“ – 20, „დინამო“ – 19, „მეტალურგი“ – 17, „ბაია“, „ტორპედო“ – 16-16, „მერანი“, „ვიტ ჯორჯია“ – 14-14, „დილა“, „გაგრა“ – 10-10, „ცხინვალი“ – 7, „კოლხეთი“ – 6, „სიონი“ – 2 ქულა.

ბომბარდირები: ტატანაშვილი („მეტალურგი“) – 6, ჩისკო („დინამო“) – 5, მანწკავა („მერანი“), დვალი, წინამძღვრიშვილი (ორივე – „ზესტაფონი“) – 4-4 გოლი.

22 ოქტომბერს ითამაშებენ: „ბაია“ – „დინამო“, „ცხინვალი“ – „ზესტაფონი“, „გაგრა“ – „დილა“, „მეტალურგი“ – „მერანი“, „ვიტ ჯორჯია“ – „ტორპედო“, „კოლხეთი“ – „სიონი“.

* * *

საქართველოს 17-წლამდელ გოგონათა ნაკრებმა კატასტროფულად დაიწყო ასპარეზობა ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, რომელსაც პოლონეთი მასპინძლობს. ჩვენმა თანამემამულეებმა, არც მეტი, არც ნაკლები, 1:17(!) დათმეს უთანასწორო ბრძოლა შვეიცარიელებთან.

პოლონეთი – ლატვია 6:0.

* * *

**იტალია.** „კიევო“ – „იუვენტუსი“ 0:0, „კატანია“ – „ინტერი“ 2:1, „მილანი“ – „პალერმო“ 3:0, „ლაციო“ – „რომა“ 2:1, „ნაპოლი“ – „პარმა“ 1:2.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „რასინგი“ 3:0, „რეალი“ – „ბეტისი“ 4:1, „მალიორკა“ – „ვალენსია“ 1:1, „სევილია“ – „ხიხონი“ 2:1, „გრანადა“ – „ატლეტიკო“ 0:0.

**ინგლისი.** „ლივერპული“ – „მანჩესტერი“ 1:1, „სიტი“ – „ასტონ ვილა“ 4:1, „ჩელსი“ – „ევერტონი“ 3:1, „არსენალი“ – „სანდერლენდი“ 2:1, „ნიუკასლი“ – „ტოტენჰემი“ 2:2.

**გერმანია.** „ბაიერნი“ – „ჰერტა“ 4:0, „ვერდერი“ – „ბორუსია“ 0:2, „შტუტგარტი“ – „ჰოფენჰაიმი“ 2:0, „შალკე“ – „კაიზერი“ 1:2.

**ძიუდო**

# მედალიც, ქულებიც





ბრინჯაოს მედალი და 80 სარეიტინგო ქულა – ასეთია ამირან პაპინაშვილის (60 კგ) გამოსვლის შედეგი აბუ-დაბის ტატამზე დაწყებულ დიდი პრიზის გათამაშებაში.

ქართველმა ძიუდოისტმა ზედიზედ სძლია ამერიკელ არონ კუნიჰიროს, ყაზახ აშხატ ტელმანოვს (იპონით) და ბრაზილიელ ბრუნო ალვეშს, მაგრამ ფინალში გადასასვლელი ბრძოლა იუკოთი წააგო მონღოლ გოლდბაათარ განდათთან.

გაგვაწბილა გიორგი შოშიაშვილმა (66 კგ), რომელიც სტარტზევე დამარცხდა მომავალ იაპონელ ჩემპიონ მასაკი ფუკუოკასთან.

**კალათბურთი**

# ასიანთა კლუბის წევრები

სუპერლიგის 5 სასტარტო მატჩიდან ოთხში გამარჯვებულებმა 100-ქულიანი ზღვარი გადალახეს.

ეს, უპირველესად, იმაზე მეტყველებს, რომ მეტოქენი სხვადასხვა წონითი კატეგორიის ბინადრები არიან.

XXI ეროვნული ჩემპიონატის საზეიმო გახსნისას სპორტის სასახლის მსაჯმა – ინფორმატორმა საზეიმოდ გვაუწყა, დამდეგი სეზონი სარეკორდოა ლეგიონერთა რაოდენობითო. ეს მართლაც ასეა, მაგრამ დამაფიქრებელია „სოხუმიდან“ ერთბაშად სამი ამერიკელი მოთამაშის გაქცევა. თუმცა, ერთადერთი დარჩენილი – ბრენდონ გეიტურის ბომბარდირი გახდა.

გვყავს გუნდი – დებიუტანტიც „ოლიმპის“ სახით, რომელიც გათამაშებაში ვიცე-ჩემპიონ თსუსთან სენსაციურად წარმატებით ჩაება. ზღვისპირელთაგან განსხვავებით, თბილისელთა თავკაცები აქცენტს ბალკანელ ახალწვეულებზე აკეთებენ და, ეტყობა, არც ცდებიან.

ტექნიკური შედეგები: შსს – „ბათუმი“ 101:77 (25:26, 18:17, 32:20, 26:14). ყველაზე შედეგიანები: კრე... სი, ლონდარიძე – 22-22 ქულა (შსს) ... ელიაშვილი – 22 ქულა („ბათუმი“) ... სტუ – „სამედიცინო“ 104:75 (25:... 24:14, 28:22, 27:22). ყველაზე შედე... გიანები: ჩაჩიბაია – 17 ქულა (სტუ) ... ჩიკვილაძე – 21 ქულა („სამედიცინო“). „სოხუმი“ – „რუსთავი“ 108:62 (28:16, 27:11, 21:13, 32:22). ყველაზე შედეგიანები: გე... 31 ქულა („სოხუმი“) ... ხმელიძე; – 19 ქულა („რუსთავი“) ... „ოლიმპი“ – თსუ 69:68 (18:17, 16:17, 18:14, 17:20). ყველაზე შედეგიანები: ბერიშვილი – 19 ქულა („ოლიმპი“); ნინიაშვილი – 19 ქულა (თსუ) ... „ქუთაისი“ – „დინამო“ 108:73 (33:17, 23:14, 26:24, 26:18). ყველაზე შედეგიანები: ცეკვავა – 2... ქულა („ქუთაისი“); სანაძე – 16 ქულა („დინამო“).





* * *

ხვალ სტამბოლის „გალათასარაი“ ევროლიგის სასტარტო მატჩს პოლონეთში „პროკომთან“ გამართავს. მანამდე თურქული კლუბის ქართველმა დებიუტანტმა ზაზა ფაჩულიამ მ... ორედ მოირგო „ლომების“ მაი... სური და წარმატებითაც. 11 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი – ასეთია „ჯვაროსანთა“ კაპიტნის მონაგარი 18 წუთში. თვით მატჩი სტუმრებმა „ოლინთან“ 98:7... მოიგეს.

**რაგბი**

# ბედი – ფრანგთა მწყალობელი

მაშ ასე, მორაგბეთა მსოფლიო თასის მეშვიდე გათამაშების ფინალში ფავორიტი მასპინძელი ახალი ზელანდია საფრანგეთს შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ აქამდე ორ-ორჯერ ტიტული ავსტრალიამ და სამხრეთ აფრიკამ მოიპოვეს, ხოლო თითოჯერ – ინგლისმა (ერთადერთმა ევროპელთაგან) და „ოლ ბლექსმა“. ასე რომ, წლევანდელი ფორუმის ორგანიზატორებს დიდებული შანსი ეძლევათ, სამხრეთელ თანასფეროელებს დაეწიონ და, ალბათ, ძალთა ობიექტური თანაფარდობის გათვალისწინებით, გამოიყენებენ კიდეც მას.

თუმცა, ვინ იცის?

მოგეხსენებათ, ჯგუფურ რაუნდში „სამფეროვნებმა“ მომავალ მეტოქეებთან და ტონგასთან ორი მატჩი წააგეს, ხოლო პლეი-ოფში თამაში მათსავით უხეიროდ მოასპარეზე ინგლისთან სამადლო მოგებით დაიწყეს. აი, ნახევარფინალში უელსთან კი...

სწორედ „მამლებმა“ დაიკვეხნონ, იღბალი გვაქვსო, რადგან ბრიტანელთა დამრტყმელებმა ისეთი საჯარიმოები გააცუდეს, დამწყები მორაგბე რომ ითაკილებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ უელსმა დროის უმეტესი ნაწილი რიცხობრივ უმცირესობაში გაატარა, მაგრამ სოლიდურ უპირატესობას მაინც ფლობდა. თუმცა, რად გინდა... მოკლედ, საფრანგეთმა 9:8 იმარჯვა და კვირას თბილისის დროით 12 საათზე ყოფნა-არყოფნის დუელში შეეცდება რევანშის აღებას.



რაც შეეხება კუნძულელებს, მათ ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეზობელი ავსტრალია – 20:6. შეძლებენ კი ევროპელები მათ აწყობილ მექანიზმთან ღირსეულად გამკლავებას? – საკითხავი აი ეს არის.

**ინტერნეტიდან**

## უხუცესი მარათონელი

100 წლის ბრიტანელი ინდური ფესვებით ფაუჯა სინგხი მსოფლიოს უხუცესი მარათონელია. ასი წლის სპორტსმენმა, ლონდონის ილფორდის რაიონში რომ ცხოვრობს, მარათონული 42 კმ და 195 მეტრი ტორონტოში გაირბინა 8 საათსა, 25 წუთსა და 16 წამში. თუმცა ახლა საუკეთესო მარათონული შედეგია 2 საათი, 3 წუთი და 38 წამი.

35 კილომეტრი რომ გაიარა, ბრიტანელი შეეჯახა „მარათონულ კედელს“ (ანუ დადგა მომენტი, როცა მორბენალი გრძნობს, რომ მიაღწია თავისი შესაძლებლობების ზღვარს), თუმცა მან ბრძოლა გააგრძელა და ფინიშთან დაახლოებით 2 საათის შემდეგ მივიდა. ის მარათონში 3850-ე ადგილზე გამოვიდა, ხუთ მორბენალს რომ გადაასწრო. თავისი მიღწევით სინგხი კმაყოფილია, რადგან მიაჩნია, რომ თავისი სიცოცხლის ოცნება აისრულა.

ფაუჯა სინგხი დაიბადა ინდოეთში 1911 წელს, დიდ ბრიტანეთში გადასახლდა 1960 წელს.



2003 წელს მან, 90 წლისამ, დაამყარა მსოფლიო რეკორდი მორბენალთა კატეგორიაში, მარათონი გაირბინა რა 5 საათსა და 40 წუთში.

ახლანდელმა წარმატებამ ის ერთხელ კიდევ მოახვედრა გინესის რეკორდების წიგნში. მან ამავე დროს დაამხო რვა რეკორდი ასწლოვანებისთვის.

როგორც თავად სინგხი აცხადებს, უნდა შორს იყოთ ნეგატიური ხალხისგან, არ უნდა შეწყვიტოთ ღიმილი და ირბინოთო.

## მოკრივე გამოიწვიეს... ცეკვაში



გასულ კვირაში ვწერდით, რომ დიდი სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა ბრიტანელმა მოკრივემ, ზემძიმეწონოსანმა ჰეიმ, მას შემდეგ რაც უკრაინელ ვლადიმერ კლიჩკო-უმცროსთან დამარცხდა. მაგრამ მოხდა უცნაური რამ, ახლა უკვე ექს-მოკრივე გამოიწვია ისევ ბრიტანელმა მოკრივემ იდლი ჰარისონმა. მაგრამ კრივში კი არა, ...ცეკვაში.

ბოლო ორი კვირაა, ჰერისონი თავის პარტნიორთან ნატალი ლოუსთან ერთად გამოდის ერთ-ერთ საცეკვაო ტელეშოუში. ბი-ბი-სის არხზე გამოსვლისას ის ლაპარაკობდა ჰეიზე, მსახიობის კარიერა რომ დაიწყო. ჰარისონმა თქვა, რომ დევიდს შეუძლია მოცეკვავედ გახდომა.

ალსანიშნავია, რომ ჰარისონი ადრე დამარცხდა ჰეისთან და აპირებს რინგზე დაბრუნებას მომავალ წელს, რაშიც, ფიქრობს, რომ ცეკვა დაეხმარება. ამისთვის კი ფიქრობს შოუში 4-5 კვირის გატარებას, რათა რინგზე ფორმაში იყოს.

## რათა მალე გამოჯანმრთელდეს

პარაგვაელი შუბის მტყორცნელი და სექსუალური მო... დელი ლარინ ფრანკო, შესაძლოა, ვერ მოხვდეს პრო... ამერიკულ თამაშებზე მექსიკურ გვადალახარაში, რო... მელიც კვირას გათენებისას (ჩვენი დროით) გაიხსნა. ყვე... ლაფერში კი დამნაშავეა გაცივება, რომელმაც სპორ... ტსმენს იმუნიტეტი დაუქვეითა და დიდი საფრთხე შე... უქმნა მის ჯანმრთელობას, რის გამოც ლარინმა მთე... ლი კვირა საავადმყოფოში გაატარა.

„თავს უკეთესად ვგრძნობ, ახლა შინ ვმკურნალობ. იმე... დია, ჯანმრთელობა ხელს არ შემიშლის შეჯიბრებებზე გამოსვლაში“. როგორც Vitina წერს, ლერა მოუთმენლა... ელის თამაშებზე გამოსვლას და თავისი ქვეყნისთვის მე... ლის მოპოვებას.



SIC!

ელისუფლება წამდაუწუმ
ვარწმუნებს, რომ მექრთამეო-
ა და კორუფცია სამართალ-
ამცავ და მაკონტროლებელ
ორგანოებში საბოლოოდ აღმო-
ფხვრა. მაგრამ დღე არ გავა
სე, რომ სწორედ ამ სტრუ-
ტურების დანაშაულები არ გა-
ოვლინდეს. მათ ავლენენ, აკა-
ებენ, მაგრამ დანაშაული მაინც
რძელდება. იღებენ ქრთამს, ძა-
ლადობენ, ითვისებენ სახელმწი-
ფო ქონებას.
შსს-ს გენერალურმა ინსპექცი-
მ სახელმწიფო ქონების მითვი-
ებისა და რეალიზაციის ფაქტზე
დააკავეს აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის პოლიციის მთავა-
რი სამმართველოს შუახევის პო-
ლიციის რაიონული სამმართვე-

## პოლიციის უფროსები საწვავსაც იპარავენ!

ლოს უფროსი, პოლიციის ვიცე-
პოლკოვნიკი თეიმურაზ ფუტკა-
რაძე. აწ უკვე ყოფილი ორგანოს
თანამშრომელი თავისი. ქვეშევ-
რდომებისთვის გამოყოფილ
საწვავს ადრესატებს არ უსხამ-
და, ბენზინსა და დიზელის საწ-
ვავს ითვისებდა. შემდეგ წინას-
წარ შეთანხმებულ ბენზინგასა-
მართ სადგურში აბარებდა და
მიღებულ თანხას ჯიბეში იდებ-
და. სწორედ „ზაპრავკიდან“ მი-
ღებული თანხის — 1500 ლარის
გადაცემის დროს დააკავეს იგი
გენინსპექციის თანამშრომლებმა.
ჩადენილისთვის პოლიციის
ყოფილ უფროსს 7 წლამდე თა-
ვისუფლების აღკვეთა ემუქრე-
ბა. მაკონტროლებლების ვარა-
უდით ფუტკარაძისთვის ეს პირ-
ველი შემთხვევა არ უნდა იყოს.
ისმის კითხვა: თუ პატრული-
სა და ოპერატიული სამსახურე-
ბის შემოვლით ჯგუფებს ხელ-
მძღვანელობა აკლებდა ან საერ-
თოდ არ აძლევდა საწვავს, რო-
გორ მუშაობდნენ ისინი? გამო-
დის, რომ საწვავს ტრანსპორტის
გასამართად სხვა ავტოგასა-
მართ სადგურებს სძალავდნენ ან
მოსახლეობას „აწერდნენ“ ფულს
და არა მხოლოდ მანქანების „გა-
საზაპრავკებლად“.
მიმდინარეობს გამოძიება. ჩვე-
ნი რეალობიდან გამომდინარე,
პროფესიონალები ვარაუდობენ,
რომ გამოძიება მომხდარს არ ჩა-
უღრმავდება და თუ ეს მაინც
მოხდა, შედეგები ფართო საზო-
გადოებისთვის, როგორც ყო-
ველთვის, უცნობი დარჩება.

ზაზა ბილიხოძე

ინფორმაცია

## სპეციალურად პენსიონერებისთვის

კომპანია „ტექნო ბუმი“ და „ლი-
ბერთი ბანკი“ ერთობლივ აქციას
იწყებენ. პირველად საქართველო-
ში ყველა პენსიონერს, ნებისმიე-
რი ტექნიკის შეძენა განსაკუთრე-
ბული პირობებით მხოლოდ „ტექ-
ნო ბუმის“ მაღაზიათა ქსელში
შეეძლებათ. ტექნიკის კომპანიისა
და კომერციული ბანკის ერთობ-
ლივი აქციის ფარგლებში პენსი-
ონერები „ტექნო ბუმში“ წარმოდ-
გენილი მსოფლიო ბრენდების
ტექნიკის შეძენისას 0%-იანი შე-
ღავათიანი სწრაფი განვადებით
ისარგებლებენ. გარდა ამისა, აქ-
ციაში მონაწილეობა იმ მომხმა-
რებლებლებსაც შეეძლებათ რომ-
ლებსაც ფიქსირებული შემოსავა-
ლი აქვთ ან ფულადი გზავნილე-
ბის სისტემით სარგებლობენ.

ეპიტაფია

# კაცი, რომელმაც დროს თავისი კვალი დაატყო



ვემშვიდობებით ოთარ ქვილითაიას

სიკვდილს მერვე ათეულში გადამდგართა რთველი აქვს. ამ ბოლო დროს თითქმის თვე არ გავა, რომ ამ გამორჩეული თაობის რომელიმე ღირსეულ წარმომადგენელს არ გააბიჯებინოს გაღმა სოფელში. ეს მეოცე საუკუნის ის ფრიად ღვაწლიანი თაობაა, რომელიც ამქვეყნად თავისი არსებობის არა ერთი და ორი ათეული წელიწადი ყოველთვის სამშობლოს სამსახურის უღელში ება და არცროდის თავი არ შეურცხვენია.

სწორედ ამ თავშეურცხვენელ თაობას ეკუთვნოდა თავისი დიდი ადამიანურობით, კაცურკაცობით, მოქალაქეობითა და მამულიშვილობით მუდამ თავგამოჩენილი და აწ უკვე ყველა ჩვენგანისგან ღირსმოსაგონებელი, დაუვიწყარი ოთარ ქვილითაია, რომელმაც კარგად იცოდა თავისი თაობის ფასი და ამიტომაც ამაყად ამბობდა, რაც გინდა მოხდეს ამქვეყნად, ჩვენ ვცხოვრობთ მაინც კაცურადო. დიახ, კაცურად! ოთარს სხვანაირი ცხოვრება არ შეეძლო და ვერც წარმოედგინა. ცხოვრების ის რთული, მაგრამ სასახელო გზა, რომელიც მან განვლო, ათასგვარ სიძნელესთან ჭიდილის, შრომისა და ომის, დიდი და კეთილი საქვეყნო საქმეების უანგაროდ კეთების გზა იყო, ხოლო ის უშურველად გაღების, კეთილშობილებისა და მიმტევებლობის ნიჭი, რაც ოთარს, ამ მართლაც გულთაზიარ კაცს ბევრისგან გამოარჩევდა, ასევე ბევრისთვის მისაბაძ და შთამბეჭდავ მაგალითად დარჩება.

ოთარ ქვილითაია 1936 წლის 20 მაისს დაიბადა თბილისში, თვალსაჩინო ინტელიგენტთა ოჯახში. სკოლა 1954 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა, ხოლო 1959 წელს, წარჩინებითვე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი გაასრულა. და უბრალო მუშიდან დაწყებული მან ცხოვრების თითქმის ყველა საფეხური გაიარა — იყო რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერ-ეკონომისტი; ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (დისერტაცია მოსკოვში ბრწყინვალედ დაიცვა); სტაჟიანი პედაგოგი, პროფესორი; საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, და თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ფრიად მოუცლელი ადამიანი სპორტშიც, კერძოდ, ველოსპორტში, გამოირჩეოდა — არაერთგზის გახდა საქართველოს ჩემპიონი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოთარ ქვილითაიას როგორც სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის დიდი დამსახურება სამშობლოს წინაშე. იგი მრავალი წლის განმავლობაში იყო არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1968 წლიდან 1976 წლამდე გაერთიანება „ელექტროაპარატის“ გენერალური დირექტორის მოადგილეა; 1976 წლიდან 1979 წლამდე — საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; 1979-1982 წლებში საქართველოს საგეგმო კომიტეტშია თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1982 წლიდან 1989 წლამდე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კომიტეტს უდგას სათავეში, ხოლო 1989 წლიდან, ვიდრე 1992 წლამდე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, თვითონ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ოთარ ქვილითაია, როგორც გამორჩეული პროფესიონალი, კვლავ საქართველოს მთავრობაში რჩება. სწორედ ოთარ ქვილითაიას დაუშრომელი ძალისხმევითაც გახდა იმხანად საქართველო მსოფლიო სავალუტო ფონდის წევრი. საერთოდ არ შეიძლება, რომ ცალკე არ აღვნიშნოთ ოთარ ქვილითაიას დიდი ადამიანური ბუნებათანაზიარობა, რის წყალობითაც აღწევდა იგი ადამიანებთან ურთიერთობაში კეთილგანწყობას. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ოთარი თითქმის თავისებური „ყინულმჭრელი“ იყო. თუ რაიმე ეკონომიკური პრობლემა წამოიჭრებოდა საკავშირო ხელისუფლებასთან, ოთარს თავისი ადამიანური კავშირები უნდა აემუშავებინა, საქმეში თავისი „ყინულმჭრელობა“ უნდა გამოეყენებინა, რასაც ყოველთვის წარმატებით აგვირიგვინებდა საქართველოს საკეთილდღეოდ.

იგი ასევე გაჭირვების ტალკვესი იყო თავისი თანამშრომლებისთვის, მეგობრებისთვის, სრულიად უცხო ადამიანებისთვისაც, რომელთაც, ალბათ, მუდამ ეხსომებათ ის სიკეთე და კეთილშობილება, რასაც ისინი დღენიადაგ გრძნობდნენ ოთარ ქვილითაიასგან. ალბათ, ამიტომაც იღვრება დღეს მის ცხედართან ამდენი ცრემლი, ამიტომ მიაქვთ ამდენი ყვავილი. სიკვდილს ერთი საოცარი რამ თვისებაც აქვს — თვალცხადად აჩენს, ვინ როგორ ვიცხოვრეთ და რანი ვიყავით სიცოცხლეში.

როგორც ბევრი ქართველი, ოთარიც სულით პოეტი იყო, ქართულ სიტყვასთან გამიჯნურებულს არც დახვეწილი იუმორი აკლდა და არც სხარტი ექსპრომტის თქმის უნარი. ბევრ, ძალიან ბევრ კეთილ საქმესთან ერთად მან ამქვეყნად სამი პოეტური კრებულიც დატოვა. პოეზიაშიც თქვა თავისი მოკრძალებული სიტყვა და თავისი ამქვეყნად მოსვლის მიზანიც სიტყვაკაზმულად გამოხატა:

**მე დავიბადე ამქვეყნად რაზე, —**
**ვკითხავ მე ჩემს თავს ხანდახან რიდით,**
**რომ ვიქადაგო სულ სილამაზე**
**და სიყვარულის ვაშენო ხიდი.**

დიახ, სილამაზეს, ადამიანურ ურთიერთობათა სილამაზეს ქადაგებდა იგი და მთელი ცხოვრება, ადამიანებს შორის უტყუარი სიყვარულის ხიდს აშენებდა. წუხილით კი ბოლოს ძალიან წუხდა, რომ „თხელდებოდა მეგობრების წრე“, და ერთ-ერთ მეგობარს თითქოს „საკუთარი წასვლის“ წინათგრძნობით დაემშვიდობა:

**წავიდა კაცი, ჩვენგან წავიდა,**
**მოსიყვარულე, დიდი სულმნათი,**
**ასეთი იყო იგი თავიდან**
**როგორც რომ ტაძრის დიდი გუმბათი.**

ჩვენც შენივე სიტყვებით გემშვიდობებით, ძვირფასო ოთარ, გულიანი ნიჭისა და ნიჭიერი გულის, ნათელო კაცო, მართლაც ჩვენი ძმობისა და მეგობრობის გუმბათო, ღირსეულო მეოცესაუკუნელო. კვალი რომელიც შენს არცთუ იოლ დროში დატოვე, ეჭვი არ არის, მომავალ ქართველთ ქვეყნისა და ხალხისთვის თავდადების საუკეთესო ნიმუშად წაადგება.

**დამწუხრებული**
**მეგობრები, კოლეგები.**

---

ახლო მეგობრები გივი ანჩაბაძე, გურამ გაბუნია, კახი კავსაძე, ნუკრი მანჯგალაძე, ჯიმი მიქელაძე, ნიკოლოზ ნეფედოვი, ირაკლი ჟორდანია, ავთანდილ საყვარელიძე, თამაზ შილაკაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ ცინცაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა

**ოთარ ქვილითაია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გურამ კლიმიაშვილი ოჯახით მწუხარებით იუწყება

**ოთარ ქვილითაიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

---

ელიზბარ ლომინაძე ოჯახით მწუხარებით იუწყება

**ოთარ ქვილითაიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

---

ბონდო ხობელავა ოჯახით მწუხარებით იუწყება

**ოთარ ქვილითაიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

---

დემურ გადელია ოჯახით მწუხარებით იუწყება

**ოთარ ქვილითაიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

---

ვიტალი ხაზარაძე ოჯახით მწუხარებით იუწყება

**ოთარ ქვილითაიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

---

თენგიზ კალანდაძე ოჯახით მწუხარებით იუწყება

**ოთარ ქვილითაიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

---

თამაზ ებანოიძე ოჯახით იუწყება მეზობლის

**სერგო ხაჟალიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ეთერ გუჯიაშვილი, შვილი ქეთი ხაზარაძე, და ტატა ხაზარაძე, დისწული ელენე გრძელიძე, შვილიშვილები ალექსანდრე ხაზარაძე, ელისაბედ ბაგრატიონი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი ხაზარაძე**

პანაშვიდი 17 X, 17 სთ. დაკრძალვა 18 X, 14 სთ. მისამართი: აბაკელიას №7.

## ⊙ კვლავ წერეთლის საჩუქარი



# ვალიკო და მისი მეგობრები ავლაბარში

მეტრო „ავლაბრის“ წინ, კოხტა სკვერში ერთი ამბავია — სანამ ვალიკო მიზანდარისა და მისი მეგობრების ძეგლი გაიხსნება, აქ უკვე შამპანურით სვამენ ქართველები და სომხები ორი ერის მეგობრობის სადღეგრძელოს... ეს საუკუნეებს გამოყოლილი მეგობრობა გიორგი დანელიას ბრწყინვალე ფილმ „მიმინოშიც“ ამზიანდა და მისი გმირების ზოგიერთ კოლორიტულ ფრაზას უკვე თაობები იმეორებენ...

გასულ კვირას, როდესაც „პლეხანოვზე“ სახელგანთქმული მხატვრისა და მოქანდაკის ზურაბ წერეთლის ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ძეგლი გაიხსნა, უკვე ცნობილი იყო, რამდენიმე დღეში ავლაბრის მეტროსთან „მიმინოს“ პერსონაჟების ძეგლიც გაიხსნებოდა. ზურაბ წერეთელმა ორივე ეს ნამუშევარი მშობლიურ თბილისს უსაჩუქრა. სხვათა შორის, იგი ჩამოსვლას აპირებდა ავლაბარში ძეგლის გახსნაზე და, შეასრულა კიდეც დანაპირები — მართლაც ჩამოვიდა და, ბარე ორი საათი, ჟურნალისტთა და თაყვანისმცემელთა გარემოცვას თავი ვერ დააღწია. იგი უამრავ კითხვას პასუხობდა — რომ ეს ნაწარმოები დანელიას შესანიშნავი ფილმის კოლორიტულმა გმირებმა შთააგონეს, რომ ქართველი ვალიკო (ბუბა კიკაბიძე), სომეხი რუბიკა (ფრუნზიკ მკრტიჩიანი) და რუსი ივანე (ევგენი ლეონოვი), უკეთეს ადგილს ვერც იპოვიდნენ დასამკვიდრებლად, ვიდრე ავლაბარია...



ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

დგება ზეიმის კულმინაცია. უამრავ თბილისელს უერთდებიან საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოვსი, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი, მომღერალი და მსახიობი ბუბა კიკაბიძე... ბატონი ზურაბ წერეთელი და ქალბატონი სანდრა თეთრ ტილოს ხსნიან ძეგლს, რომელიც უმალ იწვევს აღფრთოვანებას იქ მყოფთა შორის... ბუბა მადლობას უხდის ძეგლის ავტორს, ამბობს, რომ ძველი თბილისის ეს მიდამო ჭეშმარიტად დაამშვენა და უფრო მიმზიდველი გახადა წერეთლის ნამუშევარმა.

სომხეთის ელჩი საქართველოში ოვანეს მანუკიანი ამბობს, რომ ამ ფილმის გამოსვლის, ხოლო ახლა მისი პერსონაჟების ბრინჯაოში გაცოცხლების შემდეგ, ორ ერს შორის, რა თქმა უნდა, კეთილი ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება. ისე, მე თუ მკითხავთ, ელჩები და სამეგობრო ხიდის გამდებნი სომხეთსა და საქართველოს შორის ვახტანგ კიკაბიძე და ფრუნზიკ მკრტიჩიანი უფრო არიან, ვიდრე ჩვენ — დიპლომატები, — ამბობს ო. მანუკიანი.

ფილმმა „მიმინომ“ პოპულარული გახადა სომხეთის პატარა ქალაქი დილიჟანი, ამ ქალაქის მერის არმენ სანტროსიანის ბრძანებით ვახტანგ კიკაბიძე არჩეულია დილიჟანის საპატიო მოქალაქედ.

...კარგა ხანს არ დაშლილა ხალხი სკვერში, დიდები შეჰლიმიან, პატარები გარშემო ურბენენ ქართველ ვალიკოს, სომეხ რუბიკას, რუს ივანეს — ასე მახლობელს, ასე საყვარელ პერსონაჟებს, რომელთაც შუაში ჩადგომია გია დანელია — უზარმაზარი სითბოს გამცემი ფილმ „მიმინოთი“.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## აქ ჩვენს „ოთხფეხა მეგობრებს“ მკურნალობენ...

მუდამ ხალხმრავლობაა თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე მდებარე ვეტერინარულ კლინიკაში, რომელსაც გამოცდილი ვეტექიმი, საქართველოში ცხოველთა დაცვის საზოგადოების დამფუძნებელი ნათია ბერიძე ხელმძღვანელობს.

აქ თბილისელებს მოჰყავთ თავიანთი ოთხფეხა მეგობრები, რომელთაც მკურნალობა და რეაბილიტაცია სჭირდებათ, რადგან იმედი აქვთ, რომ მათ განსაკუთრებული ყურადღებით მოექცევიან.



კლინიკაში არის სრული ვეტერინარული სერვისი. აქ ტარდება ქირურგიული და კოსმეტიკური ოპერაციები, არის სამშობიარო ბლოკი, შეიძლება ცხოველების ლაბორატორიული გამოკვლევა, ბანაობა და გაკრეჭვა. საქართველოში პირველად აქ იყენებენ ჩინური მედიცინის მიღწევებს ცხოველების ვეტერინარიაში ეფექტური მეთოდებით მკურნალობასა და რეაბილიტაციისათვის. ხდება ვაქცინაცია ცოფზე და სხვა ინფექციურ დაავადებებზე. მათ პატრონებს კი უწევენ სათანადო კონსულტაციებს ცხოველთა მოვლა-პატრონობაზე.

**თედო ნიკოლაიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ოსტატ-კინოლოგი**

სურათზე: (მარცხნიდან) კლინიკის ხელმძღვანელი, ვეტექიმი ნათია ბერიძე, ვეტერინარი ექთანი სათენიკ პანიანი და ვეტექიმი ალექსანდრე ამირანაშვილი მორიგი ოპერაციის დროს.

ავტორის ფოტო



### განცხადება

კომპანიას ესაჭიროება უძრავი ქონების მართვის მენეჯერი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება
ტელ: 5 99 510 285

კომპანია აცხადებს კონკურსს დირექტორის თანამდებობაზე. სავალდებულო მოთხოვნებია — უმაღლესი განათლება, ვაჭრობის სფეროში მენეჯერად მუშაობის მინიმალური გამოცდილება და კომპიუტერის ცოდნა.
ტელ: 5 99 510 285.

### განცხადება

ვიმუშავებ ძიძად სკოლის ასაკის ბავშვთან, შევასწავლი ინგლისურს და სხვა საგნებს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

მოვუვლი მოხუცებულს, შევასრულებ ექთნის მოვალეობას და საოჯახო საქმეს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა


## ⊙ ოდესური ანეკდოტები

ხაიმი და მორდეხი შეხვდნენ ერთმანეთს.
— შენ იცი, მგონი, ცოლი მღალატობს და მებაღეზე მცვლის.
— რატომ ფიქრობ ეგრე?
— მივდივარ შინ და ვხედავ საწოლში ყვავილებია.
— მე კი მგონია, რომ ჩემი ცოლი სანტექნიკოსთან მღალატობს.
— რატომ გგონია ეგრე?
— მივდივარ შინ და ვხედავ, საწოლში სანტექნიკოსია.

* * *

ებრაელი აბარებს განცხადებას ისრაელში წასვლაზე. სთხოვენ ახსნას წასვლის მიზეზი.
— ორი მიზეზი მაქვს. ჯერ ერთი ჩემი მეზობელი მემუქრება, აი, დამთავრდება საბჭოთა წყობა და მთელ შენ ოჯახს ყელს გამოგღადრავთო.
— მაგრამ ხომ კარგად იცი, რომ საბჭოთა წყობა არასოდეს არ დამთავრდება!



— ეგ უკვე მეორე მიზეზია.

* * *

რაბინოვიჩი წიგნის მაღაზიაში ეკითხება გამყიდველს:
— ქალიშვილო, პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტები თუ გაქვთ?
— გვაქვს, — იყო პასუხი.
— ყველა წევრის?
— დიახ, ყველა წევრის.
— ყველა ზომის?
— ყველა ზომის.
— დამიკომპლექტეთ თითოეული წევრისა 10-10 ცალად, სხვადასხვა ზომის.
გამყიდველს გაუკვირდა და შეეკითხა:
— ამდენი რად გინდათ?
— ღარიბი ებრაელი ვარ, ისრაელში მივდივარ და მიზნად მაქვს, რამე ბიზნესს მოვკიდო ხელი, რამე პატარა საქმე წამოვიწყო.
— მაინც რა საქმე?
— ტირის გახსნა მინდა.

**შეარჩია რევაზ ტყემალაძემ**

## ⊙ კადრი




ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-36
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24